





შეიძლება არ მიუთითოთ „სახალხო ფურცელს“ იმაზედაც, რომ შეერთება „თანამედროვე აზრისა“, „სამშობლოსი“, „Земля и Фабрика“-ისა და „საქართველოსი“ ერთ რაღაც ფარგალში, და შეერთება ისეთი, საცა „იშლება საზღვარი, იკარგება განსხვავება“, მხოლოდ მის, „სახალხო ფურცლის“, გონებაში ხდება და არა ფაქტურად და ისეც იმ „შინაგადობის“ ოცნებების ბრალია, რომელიც ცხოვრებასთან კავშირსა ჰყარავს და მასთან ლოგიკური მსგავრობაც მოუძღუნდება ხოლმე.

ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ ამ წერილში აღძრულ საკითხებს „სახალხო ფურცელი“ გვერდს აუხვევს და

საკამათო კილოსა და საგაზეთო ეთიკას გადასწვდება, რომ მთავარი საგანი მათემატიკის, მაგრამ ჩვენ პირდაპირ ვითხოვთ პასუხს—რა გწადიათ? წამოაყენეთ პირდაპირ, ჩამოაყალიბეთ მკაფიოდ თქვენი ბრალდებანი თუ უქმყოფობები, თქვენი ის საკითხები, რაზედაც პირდაპირ პასუხი გნებავთ და მაშინ შეგვეძლება მხოლოდ გარკვეულ მოპირდაპირესთან გარკვეული ლაპარაკი.

პირდაპირა სიტყვით: რა გწადიათ?  
**რ. გაბაშვილი.**

# ომის დღიური

## მიმოხილვა

კოვჩოსა და ლიბავას შუა ბრძოლა ისევ გრძელდება და ბოლო აღარ უჩანს. აგერ ერთი თვე სრულდება, რაც მოპირდაპირნი თითქმის ერთსა და იმავე რაიონში იბრძვიან. ნარევის მიმართულებით მეტად ცხარე საარტილერიო ბრძოლა ყოფილა 10 ივნისს მდინარე ომულევისა და ორჯიკის შუა, ციხე ოსტროლონკის ჩრდილოეთით. ამ ბრძოლაში მოწინავე ქვეითობასაც მიუღია მონაწილეობა. ღამით გერმანელებს უკიდურესობამდე გაუძლიერებიათ არტილერიის ცეცხლი მდინარე ორჯიკის ნაპირსა, რუსთა ერთი სიმაგრე მთლად დაუნგრევიათ და აუღიათ.

გალიციაში ავსტრო-გერმანელები აღმოსავლეთისკენ მიიწევენ, თუმცა შესამჩნევი არაფერი მოხდა. ჩრდილო მიმართულებით—ლიუბლინ-ხოლმის გუბერნიებისკენ საიმი-სო ცვლილება არ მოხდა, ხოლო ლვოვის აღმოსავლეთით მოპირდაპირე „ცდილობდა“ წინ წამოწევის ორის გზით: ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლვოვ-კამენკას რკინის გზის გაყოფებით და აღმოსავლეთ-სამხრეთით, ბერეჟანის გზის გაყოფებით. მნიშვნელობა მეორე გზისა გუშინ განემარტეთ. ამ მოძრაობით ავსტრო-გერმანელთა ჯარი ემუქრება დნესტრის ჯარის საკვებ გზებს და უდავლობებს საქმეს თავიანთ იმ ჯარს, რომელიც დაფინებით ცდილობს დნესტრის გადმოღახვას.

ლვოვ-კამენკას გზა მოღის ჩრდილო-აღმოსავლეთით და რუსეთის საზღვარზე თავდება, ხოლო თვით კამენკა დაშორებულია ლვოვიდან 40 ვერსით. სადამდე მიადგია აქეთ და ბერეჟანისკენ მომავალმა მოპირდაპირემ, ამის შესახებ დღეს არაფერია ნათქვამი მთავარსარდლის დეპეშაში.

**მ. ბ.—ლი.**

## დეკეშები

**პეტროპოლი,** 12 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. მიუღო ღამის განმავლობაში 11 ივნისს და შემდეგ დღეს შავლის რაიონში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა, მოწინავე რაზმები თითქმის ყოველგან ეხლებოდნენ ერთმანეთს ლაცოვო-პოპელიანის პირზე და მდინარე ნემანის მარჯვენა ნაპირებზე. ნემანის ჩრდილოეთით გერმანელთა ღამის იერიში კონვა-ვერბოლოვოსა და ამალის ჰაობებს შუა გაყვანილ რკინის გზაზე შეჩერებულ იქნა ჩვენი ცეცხლი, ნარევის პირზეც მკაცრი საარტილერიო სროლა იყო. აქაც მოწინავე რაზმები ერთმანეთს შეხებოდნენ. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლა იყო ღამით 11 ივნისს ომულევისა და ორჯიკის რაიონში. ქსარტილერიოდ გამზადების შემდეგ გერმანელები იერიშით წამოდნენ ხსენებულ მდინარეების ნაპირებზე, მაგრამ ჩვენ მიერ შეჩერებულ იქნენ. ამასთანავე ომულევის დედაში ტყვედ წამოვიყვანეთ 80 კაცი, ხოლო ორჯიკის დედაში იძულებული გავხდით ერთი სიმაგრე დაგვეტყუებინა მტრისთვის, რომელმაც იგი სასვებით გაანადგურა ძლიერი არტილერიის ქარიშხლით. ვისლის პირზე პილციის სამხრეთით გერმანელები სამჯერ შეეცადნენ იერიშით წამოსულიყვნენ ცამცივის აღმოსავლეთით,

მაგრამ უკუგდებულ იქნენ თვალსაჩინო ზარალით. ტანების პირზე და ჟოლეკისა და ლვოვის მიმართულებით არსებითი ცვლილება არ მოხდა. გერმანელები სცილობდნენ იერიშით მოეტანათ რკინის გზით, ლვოვისა და ბერეჟანის შუა. 11 ივნისს დნესტრზე უკუგდებულ იქნენ გერმანელთა ჯარის ის ნაწილები, რომელიც დნესტრის რაიონში გადავიდნენ ღამით. მარტინოვიცისა და სტრისის მიმართულებით 10 ივნისს ტყვედ წამოვიყვანეთ მტრის ჯარი ნაშთები. სულ წამოვიყვანეთ 15 აფიცერი და 700 ჯარისკაცი. მიუხედავად ამისა, ავსტრო-გერმანელები მაინც სცილობდნენ როგორმე დნესტრზე გადმოსულიყვნენ. ამ მიზნით ისინი სარგებლობდნენ ნავის ხიდებით. უმთავრესად მათ მოახერხეს გადასვლა ბუკოვიჩთან სოფ. რუდრიჩში. ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ბრძოლის პირზე არსებითი ცვლილება არ მოხდა.

**სტოპოლი,** 12 ივნისი. ვოლფის საავენტო გადმოგვიცემს პრუსიის ლანტუ-გის ამბებს. სოციალისტები თურმე ომის მოწინააღმდეგეებად გამოვიდნენ. მათ მღელვარებას ძლიერ ეკავებდნენ. მარტო ბიურგერთა პარტია ყვიროდა „ჰოსს“ (გაუმარჯოს) სამშობლოსა და არმიასო.

**სოლუნი,** 12 ივნისი. ყურანალ-ვაზე-თობა იუწყება, რომ ოსმალთა კომისია, რომელიც ორი ექიმისა და ერთი გერმანელი აუციონისაგან შედგება, ამაჟამად მაკედონიაში მუშაობს და მაჰმადიანობას იწვევს ოსმალთა ჯარში. როგორც ამბობენ, მათ ეხმარება ბერძენთა მთავრობა. ერთმა უცხო სახელმწიფოთაგანმა გუშინ ნოტა გაუგზავნა საბერძენეთის მთავრობას და გარემოებაზე მიაქცევინა ყურადღება.

**სოფია,** 11 ივნისი. ოფიციალური ცნობების მიხედვით უკანასკნელ 6 კვირის განმავლობაში 10 ათასი გამოქცეული მაკედონელი ბულგარეთის ტერიტორიაზე გადავიდა.

**სტოპოლი,** 12 ივნისი. ვოლფის საავენტო იუწყება, რომ იმ წყალქვეშას კომანდირი, რომელმაც „ლუბიტიანი“ დაჰლუბა, მიიღო ორდენი „ჰურ-დემე-რიტი“ („დამსახურებისთვის“), მაგრამ ამასთანავე აცხადებს, ის ორდენი სხვა სამხედრო სამსახურისთვის მიიღო და არა „ლუბიტიანის“ დაღუპვისათვისაო.

ბერლინში ამერიკელი დაბრუნდა კოლონიის ყოფილი მინისტრი დერენბურგი და გერმანიის ელჩის მეუღლე.

**სოლუნი,** 11 ივნისი. ტენდოსიდან იუწყებიან, რომ სამ ივნისს დარდანელში ბრძოლა განაახლეს მოკავშირეებმა. ამჟამად მათი ჯარები კრიტიკულად ათი მილის მანძილზე არიან. კრიტიკის დაცემა ფრად მნიშვნელოვანი იქნება. მოკავშირეებმა კვლავ 500 ტყვე ოსმალთა წამოვიყვანეს. დარდანელს კვლავ ზარბაზნებს უშენენ.

**რომი,** 12 ივნისი. ოფიციალურად იუწყებიან: 11 ივნისს ტიროლე-ტრენტინოს რაიონში და კადორში ერთსა და იმავე დროს, არტილერიის ცეცხლით იტალიელები განაგრძობენ ბერეჟანის მთელს ბრძოლის პირზე. ღამით 10 ივნისს ავსტრიელები ამაოდ განაგრძობდნენ იერიშების მიტანას. მონტენეროს ოლქში ჩრდილოეთით იტალიელებმა წინ წაიჭეს და 57 ტყვე წამოვიყვანეს.

**ათინა,** 12 ივნისი. გაცხარებული ბრძოლა გალიპოლის კუნძულზე მოკავშირეთათვის გამარჯვებით მიდის. ფრანგებმა გაცხარებული იერიშებით კრიტიკა-ამბოხებას ხაზზე თხრილები დაიპყრეს. ფრანგების იერიშები კრებულდერეს მხარეს მოწინააღმდეგის მიერ უკუგდებულ იქნა, მაგრამ შემდეგ ფრანგების პოლკმა 600 მეტრზე თხრილები დაიჭირა.

კონსტანტინოპოლში სომხების დევნა გრძელდება. მრავალს იჭერენ. 20 სომხი და 3 სომხის ქალი სიკვდილით დასაჯეს. ბურლანი და აივალში ქრისტიანებსაც სდევნიან.

**ლონდონი,** 11 ივნისი. გემი „ლამა“ იტყობინება, გადაარჩინე პეტრეხელსთან დაღუპული „ვიცე-კაროლ აბერდენს“ ნავზე მყოფი მეზღვაურნი; გადაარჩინილია სიტყვით 5 მეზღვაური წყალში იმსხვერპლაო.

**მუჰაძინი,** 20 თბათვე. იაპონელების აფთიაქში გადაგდებულმა ყუმბარამ სამი მძიმედ დასტრა, მსუბუქად 1.

**რომი,** 12 ივნისი. მეფის მოადგილის ბრძანებით დადგენილია, უკეთუ მოწინააღმდეგე ყუმბარებს დაუშენს ფორტებს, ქალაქებს, სოფლებს, სახლებს და სხვა შეუიარაღებელ ადგილებს, ან თუ ჩასძირავს სავაჭრო ნავებს, ან თუ მტრობა გამოიჩენს, რაიც სამოხარ პრინციპს ეწინააღმდეგება, ან თუ კერძო პირთა მიაცემებს ზიანს, რომელიც იტალიის ქვეშევრდომნი არიან, მთავრობა მოწინააღმდეგეს ზარალს გადაახდევინებს მოწინააღმდეგეს შეპყრობილ და დაქერილ სავაჭრო გემთა ექსპლოატაციის თანხიდან.

**პეტროპოლი,** 11 ივნისი. 7 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქნა დადგენილება ახალი ზომების მისაღებად, რომ ჯარი უზრუნველ ჰყარს და საჭირო იარაღს დროზე მიაწოდოს. საბჭოს თავმჯდომარეობა და სამხედრო მინისტრი წვერებად იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს 4 წევრი, სახელმწიფო საბჭოს მხრიდანაც ოთხი, შემდეგ სამრეწველო წრეებიდან და სამხედრო და სხვა დანტერესებულ წრეებიდან. საბჭო ექვემდებარება უმაღლეს მთავრობას.

წითელი ჯვრის მთავარი რწმუნებუ-ლი იუწყება, რომ ლვოვიდან ჰოსპიტალები და წითელი ჯვრის ყოველი საწყობი დროზე იქნა გატანილი.

**ათინა,** 11 ივნისი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ გალიპოლისის ნახევარ კუნძულზე არტილერიიდან უშენენ ოსმალთა პოზიციებსაო. მოკავშირეებს შეუწყვეტილ მოსდით მასველი ჯარი.

**ლონდონი,** 11 ივნისი. სამშაბათს ფრევილის კლუბის მახლობლად გერმანელთა წყალქვეშა დაჯგუფება ფინების მანძილში „ბრიგანტი“ დაიჭრა. მეზღვაურთა 15 წუთი მისცეს დაიწყო ეგზეტა გადასასვლელად.

**ვაიინგტონი,** 11 ივნისი. სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ბრიანის ნაცვლად სახელმწიფო მიდინად დაინიშნა.

**კონსტანტინოპოლი,** 11 ივნისი. გემი „ნოვა“ ბერეჟანისკენ მოვიდა და 20 კაცი მოიყვინა გემი „ტრუმბიდან“, რომელიც გერმანელთა წყალქვეშის მიერ იქნა დაღუპული მოტლანდიის კუნძულებთან. „ტრუმბი“ 1,557 ტონა წყალქვეშისაა და ლონდონისკენ მიემგზავრება. წყალქვეშაზე მოიყვანა „ნოვა“-მდე ის გადაარჩინილი 20 კაცი.

**ლონდონი,** 11 ივნისი. თემთა პალატა. რობერტ სესილმა განაცხადა, რომ მთავრობა უკმადალს თავის ქვეშევრდომებს ჩინეთში და სხვაგან ისეთ პირებთან დაიჭირონ ვაჭრობის საქმე, რომელნიც მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიანო.

## ქურნალ-გაზეთიკიდან

**გენერალი გაბაშვილი**  
(მის დაჯილდოების გამო წმ გიორგის ჯვრით).

გენერალი გაბაშვილი უკვე 60 წლის კაცია. მონაწილეობას იღებდა ოსმალეთთან ომში 1877 წ. ყოველთვის, სადა იგი ომში მოხვედრილა, პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. როდესაც ოსმალეებმა ოლთისისკენ გაარღვეს რუსის ჯარები და პირდაპირ არტანისკენ მიესწრაფებოდნენ, გაბაშვილი დივიზია სწრაფი ნაბიჯით გაეცანა მათი გზის მოსაჭერად. მერდების უღელთან შეხვდა იგი გამალებულ მტერს და კიდევ დაამარცხა. გაბაშვილს თავისი დივიზია არ დაუსვენებია, რომ ისევ ყარსისკენ გამოატრიალა იგი. აქ მას განზრახვა ჰქონდა ყარსი დაეცა იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიკობა ოსმალები ბგელი ახმეტთან მოახერხებდნენ რუსთა ჯარების გარღვევას. მაგრამ ყარსში მისვლისას გაბაშვილს დასასვენებლად არ სცალოდა. სწრაფად ციხიდან მიდის და სამხრეთ-დასავლეთიდან უელს ოსმალებს ატყდა სამხინელი ქარბუქი. ნამქერი

ჯარისკაცი თვალსა სთხრიდა. წელამდინ თოვლს ძლიერ-ძლიობისას მიიკვლევდნენ გზას. მწვერვალთან მწვერვალზე მან გადალახა აიალბარდუსი, აქ ეკეთა ჩასაფრებულ მტერს, დამარცხა იგი, წინ გაირეკა და მრავალი ტყვე წამოასხა. თვით გაბაშვილი წელამდინ თოვლს მიარღვედა ჯარისკაცების გვერდით. მის დივიზიას კავკასიაში „რკინის“ დივიზია უწოდეს. ერთი პოლკთაგანი ამ დივიზიისა სხვა და სხვა ადგილას ისეთი სწრაფად იცვლებდა ბრძოლის პირს, იმდენჯერ დაამარცხა ოსმალები, რომ თვით ტყვეებიც კი განცვიფრებაში მოდიოდნენ ამ სითამამით... (რ. სლ.).

## გერმანელთა აზრი ომის შესახებ.

პრუსიის პალატის თავმჯდომარეს შემდეგი სიტყვით მიუშარათავს დეპუტატებისათვის: „ყოველგან გაისმის ხმა, ჩვენ ისეთ ზავზე უნდა მოვაწერინოთ ხელი ჩვენს მტრებს, რომელიც თავდები იქნება იმისი, რომ ასეთი ომი აღარ განმეორდება. მაგრამ მე მწამს, რომ ასეთი ზავი ყოველ შემთხვევაშია. რამდენად ძლიერი გამოვალთ ომიდან, იმდენად უფრო ეცდებიან შემდეგში ყოველისფერი უკანვე წავაგვარებინ. მაშასადამე, უნდა მოველოდეთ ახალ-ახალს კოალიციებს ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენი უზრუნველყოფილება ჩვენზევე დამყარებულია. ყოველთვის მზად უნდა ვიყვნეთ ომისათვის. ამ პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს ყოველგვარს მოქმედებაში... დაე გაიგონ ყველამ, რომ ჩვენ არავის არ გვეშინიან, გარდა ღვთისა!“

დანიის გაზეთები, როცა ამ სიტყვას გადასცემენ, სხვათა შორის, ფრად და მახასიათებელ ფრაზას უმატებენ:

— გერმანელები სცდებიან: მათ ღვთისატი კი არ ეშინიანთ!

## ტენიკური მობილიზაცია საფრანგეთში.

ფრანგთა პალატის დეპუტატმა დალი-ემ წინადადება შეიტანა მამაკაცთა სრული მობილიზაცია მოვასდინოთ, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიანო. ამის გამო „Temps“-ი სწერს, რომ ჩვენ მამაკაცთა მობილიზაცია კი არა, არამედ ტენიკური მობილიზაცია უნდა მოვახდინოთ.

ჩვენ ვერასფერსაც ვერ მოვიგებდით, თუ წარმოვიდგინდით, ვითომც დღევანდელი ომი არამის რაოდენობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც წინადა. თუ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ გერმანელები და ავსტრიელები აქამდე განადგურებულნი იქნებოდნენ, მინადა ჩვენ ყოველთვის ვაიცილებთ მეტი რიცხვი გამოვიყვანო. ჩვენი ჯარისკაცები ვაეკაცობით იმთხას არა ჩამოუვარდებიან. ორთავე იმპერიის წინააღმდეგობა დამყარებულია მატერიალურ სიმტკიცეზე. შემდეგ „Temps“-ი იუწყება, რომ კრუპის ქარხანაში, სადაც უწინად 44 ათასი მუშა იყო, 110 ათასი კაცია, მაშინ როდესაც ფრანგთა ქარხნებში მუშათა ხელმა იკლო. ეხლა საფრანგეთის მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღო სამუშაო ძალთა მოსასრულებლად. ყველა ინჟინრები, მუშები, ხელოსნები, რომელნიც ომში წაიყვანეს, კვლავ თავიანთ თანამდებობას დაუბრუნდებიან და ომისთვის ქარხნებში იმუშავენბო. (დ.)

## ავსტრო-გერმანელთა ჯარები.

ამ ჟამად ავსტრო-გერმანელთა ჯარები გაჭიმულა 150—160 ვერსის მანძილზე, ტანედოდან ნაროლის ხაზზე და ლვოვის რაიონიდან მიკოლევამდე. აქ თავმოყრილია უკანასკნელი 2 1/2 მილიონი კაცი. შემდეგ, დნესტრის პირზე ბუკოვინამდე 450 ათას კაცამდეა. საზოგადოდ მიუღს ფრონტზე ბალტიის ზღვიდან მოკიდებული ბუკოვინამდე გერმანულ-ავსტრიელთა ჯარები 4 მილიონამდე იქნება. ამასთანავე უნდა დაუმატოთ, რომ ლვოვისკენ სულ ახალ-ახალ ჯარებს ერგებათ დასავლეთის ასპარეზიდან თუ ავსტრიის-გერმანიის შუა ოლქებიდან. ისე მოსიანს, თითქოს ბუხრა-რავკიდანაც უნდა საგრძნობელი ჯარები ჰყავდეს გადმოყვანილი. ლვოვის მიმართულებით ჯარებს ხელმძღვანელობს გენ. მეკენზენი. მისივე ხელმძღვანელობით ომი გადახდები იქნა გოროდეციის პოზიციებზე. მისი ლაშქარი შეიარაღებულია მძიმე არტილერიით. ზარბაზნები ბევრია 8 დიუმიანი, 16 სანტრიმენტანი და თვით 31 1/2 სანტიმეტრიანიც კი. ასეთი ზარბაზნები სხვათა შორის გოროციის პოზიციებსაც დაუშინეს. (დ.)

## შუქრი ფაშა

დანიშნულ იქნა გალიპოლისს ლაშქრის მარჯვენა წვერის უფროსად.

## გერმანიის პეტლიცეცია და ომი.

ესპანელმა პეტლიცეცია ბ-ნმა იბანი-ეს-დე-ბევიმ მოათავსა ფრანგულ ჟურნალ „Je sais tout“-ში გერმანელ ინტე-

ლიგენციასე არაფერს იტყვიან შედეგები. მას მძიმე დიდ ხანს უცხოვრია პეტიტურებში; რომელიც სამართლიანად ითვლება გერმანიის სიბრძნის სანერგედ. —გერმანელებმა, ამბობს ავტორი—მალე სასწავლებლები მიამზავეს უზარმაზარ ყაზარმებს, სადაც ყველაფრზე დასცილდნა გამეფებული. შემოღებული კორპორაციული ცხოვრება ხელს უწყობს მხედრულ გემოვნების განაქტიკებას. მთავრობა დიდს ყურბღლებით ეპყრობა ამგვარ დისციპლინას და შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს რომ მალე სასწავლებლებს თავისი კეთილი განწყობილება არ დაუდასტუროს. ბევრი წვირლ-წვირალი უფლება-უპირატესობა აქეთ მიიჭებულა უნივერსიტეტებს. განსაკუთრებით თვალს ის გარემოება გეცემა, რომ მთავრობა ცდილობს თუც შემეჩნველად, მაგრამ მტკიცედ შექმნას ერთგვარი ტიპი საშუალო სტუდენტისა, რომელიც მორალი მისამსახურე უნდა იყოს სახელმწიფოსი. ამ მიზნის მისაღწევად მას სჭირია ისეთ მასწავლებელთა პერსონალი, რომელიც ადვილად ემორჩილებოდეს მთავრობის გავლენას. მთავრობისგან მოწონებულ აზრებს ავრცელებდეს.—უნდა ესთქვათ, რომ ასეთი პროფესორები ბოლომდე მოიპოვება გერმანიაში. გერმანელებს საქმით მორჩილება და დისციპლინა უყვართ, ოპოზიციონერობა კი მხოლოდ ფორმით. კამათობენ უფრო ფორმის შესახებ, ხოლო არსებითად ექვემდებარებიან მოხელეთა გავლენას, რომელიც მათთვის თუმცა ბუნდოვანის, მაგრამ უზენაესი დასაბამის—სახელმწიფოს გამოსახულებააო. უკიდურეს მხედრულ შეხედულებას უფრო გერმანულ ინტელიგენციის შორის შეგვედრო-ვარ. პოლიტიკოსები და ფინანსისტები ვაიცილებთ უფრო თავმდაბალი ღ ღ ღ მბიერები არიან.

## ყურადღებები დადგენილებანი.

რომიდან კოს თაოსნობით მოწვეულ იქნა სხვა და სხვა ფრაქციის ბელადები, რომელთაც ყურადღებები დადგენილებანი მიიღეს და იმ დღეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინეს.

როდესაც თ-დი შერბატოვი თავის ჩინონიკებს იღებდა, განუცხადა, რომ ეხლა დრო არ არის ჩემი პროგრამის განხორციელებას შევუდეგე. მე უნდა მიესდიო იმ გზას, რა გზასაც ჩემი წინამყოფი ადგაო. ეხლა ყველას ერთი საზრუნავი აქვს—ეს არის ომი. როდესაც ქარიშხალი გარდაივლის, მაშინ შეიძლება იმპერიის შინა ცხოვრებაში რეფორმები მოხდეს. ეხლა კი სამი მორიგი საკითხია ჩვენს წინაშე: გამოსაკვებისა, გერმანელთა ადგილმამულების ლიკვიდაციისა და ტყვეებისაო.

## მეფის მოადგილის საბჭოში

10 ივნისს, სენატორ ნ. ლ. პეტერსონის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა მეფის მოადგილის საბჭოს. კრებამ განიხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინადადება, რომ კავკასიის ერობათა თანხიდან რომანოვთა სტიპენდიების მოსაწყობად კომიტეტს აღმოუჩინოს დახმარება. 29 ივნისს 1914 წ. იმპერატორმა უმაღლესად ინება შემდგარიყო მათი იმპერატორობით უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ, კომიტეტი, რომელიც მოაწყობდა ომში დახარბული შეილებსათვის თავშესაფარს განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა და რომელიც შუაკავშირებდა მთავრობის, საზოგადოების, და კერძო პირთა მოქმედებას. კავკასიის ოლქის რწმუნებულმა განაცხადა, რომ ამ თავშესაფარში მოთავსდება 250 ბავში, თითო ბავშვს სრულს შენახვით დასკირდება წლიურად 180 მან. ყველას ერთად 47,400 მან.

აღძრულ შუამდგომლობაზე რომანოვთა კომიტეტის თავმჯდომარე შემოუთვალა, ჩვენს კომიტეტს თავის მხრივ შეუძლიან მოგაწოდოთ მხოლოდ 1/3 საერთო ხარჯისა, ე. ი. 15,800 მანეთი უკეთუ ადგილობრივი საერობო თანხიდან 2/3 იქნება გადადებულიო.

**მეფის მოადგილის საბჭოში.** სამოსწავლო ოლქის რწმუნებული უმაღლესობა რომ 31,600 მან. გადაიღოს თავშესაფარისთვის (95,800 მან. სამის წლიური) კავკასიის საერობო თანხიდან სამოსწავლო ოლქის რწმუნებულის შუამდგომლობა ყოველ მხოვ იქნა განხილი და საბჭომ ნება დართო წლიურ 31,600 მანეთი მოხმარდეს ამ საქმეს.



ტილი წუთისოფელი  
სულ მუდამ ცვალებადია:  
ხან შშობლის ძუძუს გაწოვებს,  
ხან გიტევს როგორც ვადა.  
ზოგჯერ იმასაც მოგაწერს,  
რაც შენ არ დაგიბადა;  
ტკბილიც თანა აქვს მწარეცა  
ხელში უჭირავს ბაღია,  
რომელიც გინდა ის შესვი  
ამას გულსხმობს ცხადია...  
მიგიხედი წუთისოფელი  
შენ ჩემთვის რაცა გწადია!  
რად, რისთვის, ნეტავ მეტყოდ?  
სად მომიძებნე თხრილები?  
განა სხვის ღალატს ამბობენ  
ჩემი დაჭრილი ხელები  
ვინ მორწყო უმანკო სისხლით  
ბრძოლის ქედი და ველები,  
ვის უფრო მეტი არგუნა  
სიკვდილმა თავის ცელები?  
აბა განხედ იმ ხეგურს,  
გინდა თუშ გინდა ფშაველსა,  
იმერ-ამერის ვაჟკაცებს  
მკერდი რო უფავს მთა-ველსა.  
ამაყნი, სულით ძლიერნი  
ვისზე რა უკან რჩებიან,  
სიკვილს ზარს სცემენ სიცილით  
და სიმღერაში კვდებიან.  
შხამს დავლევ დედის რძესავით  
თავს კი არ მივცემ ჯალათსა,  
ვინც მოლაღატს მიწოდებს  
თავად ის სხადის ღალატსა...  
დასწყველოს ღმერთმა ეშმაკიც,  
ელოდოს რაცა სწადია;  
ხელში ეჭიროს სანამ ჰსურს  
შხამით ლიცილიც ბაღია.  
თუ მე არ დავლევ იმასაც  
არ დავაძალბებ ცხადია...  
ღალატი, შური და მტრობა  
ნეტავ რა მოსაწადია!..



თ-დი დიმიტრი ჩოლოყაშვილი  
თბილისის გუბერნიის ქართველ თავდა-  
აზნაურთა მარზლის თანამდებობის  
აღმასრულებელი.



ბრძოლის ველზე.



გენერალი იუდენიჩი  
სარდალი კავკასიის ჯარისა.

დღეს ერთ ასეთ მარგალიტს, რომელიც  
ეკუთვნის დიდ ილიას მადლიან კალამს  
და დღეს განსაკუთრებულ ინტერესით  
იკითხება.

**აზარა, ძოგუშეთი და კინტრივის  
მაზრა.**

ყოველ მხრიდან ისმის, რომ ჩვენი  
მოძინი-აჭარელები და ქობულეთელები  
ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და  
ნუგეშსაც ჯერ აქამომდე არსიდან მოე-  
ლიან. წარსულმა იმეებმა თუშცა ყველას  
მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ  
აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გა-  
ხადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯა-  
რი და ცალკე ოსმალისი. ჯარების დგო-  
მა, ნამეტნავად ერთი ერთმანეთზედ სა-  
მტროდ გალაშქრებულებისა, რასაკვირ-  
ველია, კეთილს არ დააყრიდა ხალხს სა-  
ზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთ-  
რივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა  
და რომლის ბედი წინადაე არეინ იცო-  
და ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტო-  
მაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილ-  
დებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოს-  
მალი: არც რუსი მოიქცეოდა გულმტკი-  
ნეულად და არც თათარი. „დროების“  
№ 32 კარგა ცნობად არის აწერილი  
გ. წერეთლისაგან ის საცოდიაობა, რასაც  
წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს  
და ომის მერმედაც. ჩვენ დარწმუნებუ-  
ლი ვართ, რომ არამც თუ გადამეტე-  
ბულია, რასაც გ. წერეთელი გვაუწყებს,

არამედ იმის ნატამალიც არ უნდა იყოს,  
რაც საცოდიაობა აჭარას და ქობულეთს  
მიადგა ომის გამო. ახორება ტყეებისა  
და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლე-  
ბისა, დაწოვება ხალხისა, გარდახვეწა  
ზარ-დაცემულ მცხოვრებთა, ამის გამო  
წარამარად დაღუბა საგარნიზონისა,  
რომლის წაღებაც თან არ შეიძლე-  
ბოდა, უხეზელ-უთესავად დარჩობა,  
ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა—  
ესენი სულ იმისთანა თვისების უბედუ-  
რობაა, რომელიც დიდხანს გაჰსწავს და  
დიდხანს იქნება საგარნიზონელი, თუ მთა-  
ვრობა ეხლავე ხელს არ შეუწყობს ხალ-  
ხსა, არ დააკვირდება მის აწინდელს  
მდგომარეობას, არ მიეშველება ფულით,  
თუ სხვა ღონისძიებითა და თუ დროე-  
ბით მაინც არ ამოუშვა იმ მოვალეობი-  
საგან, რომელიც ხაზინის ინტერესს შე-  
ადგენს. ეს უკანასკნელი მაინც აუცილე-  
ბელი საჭიროებაა ქობულეთის და აჭა-  
რისათვის. თუ მთავრობას ჰსურს დაანა-  
ხვოს ხალხს თავისი უკეთესი მხარე,  
რომლითაც იგი მართლა და სანატრე-  
ლია ყოველს კაცისათვის, სახელდობრ,  
ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თა-  
ვის უწმინდეს მოვალეობად უნდა აღი-  
არებდეს ხალხის შევლას, ყოველთვის და  
გაჭირვების დროს ხომ უფრო, მის კმ-  
თილ-დღეობისათვის წადილს, მზრუნვე-  
ლობას და მხურვალე გულდადებას,—და  
ამ შემთხვევაში ზოგჯერ და ძუნწობა სა-  
ბოლოოდ საქმის წახანა და ღალატი  
სახელმწიფოს საქმისა. ეგ შევლა და

**დაკარგული**

შემოგოვდა ბალშია ლალის მარცვლივითა,  
უელავდენ თვალბში უხილავი სხივითა.  
ბროლის მკერდი მოერთო ჯადოსნური მძივითა,  
კულულები დაეწა ტალღის გრძნეულივითა...  
ყვავილები დაკრიფა მწვანე ბუჩქის ძირასა,  
მიტკრიალდა, შეკონა ხეივანის პირასა;  
შადრევანის წინწყლები დააკურა ყველასა,  
ულიოდა სხივების ფერად ცისარტყელასა...  
ხავერდივით გაშლილს ვარდს მიაშტერა თვალბში,  
სულის სიმზედ შეუკრთა ჰანგი იღუმალბში,  
მაგრამ... უცბად გაფრინდა ქალი ელვის ფრთიანი  
წალკოტში რომ მიგულა ავი აღამიანი...  
კიკა-ფშაველა.

ხელ-უხეობა სახელმწიფოსი მით უფრო  
არის სასარგებლო, რომ თვითონ სახელ-  
მწიფო არსფერს დაჰკარავს: ხალხი  
ფეხზედ წარმომდგარი უფრო უკეთესი  
ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დაე-  
რდომილი და სულით და ხორციტ გა-  
თახსირებული; მართო გულ-მოგებული  
და ფეხ-გამაგრებული ხალხია უშრეტე  
წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და  
ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყო-  
ველივე სანთელ-საკმელი გზას იპოვის,  
გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს  
გარდამეტებით დაუბრუნდება. ჩვენდა  
საწმუნაოდ, ისმის, რომ ეს სანატრელი  
მხარე მთავრობისა ფეხ-ადგმული არ

არის ჯერ აჭარასა და ქობულეთში,  
თუმცა მოხელეთა შორის იმისთანა პა-  
ტიოსანი და ხალხის გულშემატკივარი  
კაციც არის სხვათა შორის, როგორც  
თავ. გრივოლ გურიელი, მაგრამ ხომ  
მოგესხენებთ, ერთის მერცხლის ქიქვიკი  
გაზაფხულს არ მოიყვანს...  
ნამეტნავად კინტრივის მაზრაა თურ-  
მე საშინელს ყოფაში და გაჭირებაში.  
რომ მართლა იგი ყოფა და გაჭირება  
საშინელია მართო ის ამტკიცებს, რომ  
თვითონ მთავრობას საჭიროდ დაუნა-  
ხავს იმისი გამოცხადება საქვეყნოდ. ვინ  
არ იცის, რომ ამისთანა ამბების გამო-  
ცხადება მთავრობას ყოველთვის ეხე-

**ი ვ ე რ ი კ ო**  
ღრამა ხუთ მოქმედებად \*)  
სანდრო შანთიაშვილისა

**V**  
**ივნივე და გამდელი, შემდეგ ამალა.**  
**გამდელი** (შემოდის. ხელში გვირგვინი და ივერიკოს პორფირი უჭირავს)  
უი, ჩემს თვალბს! ქა, ისინი უკვე მოდიან და შენ კი გხედავ მოუკაზმავს და უფვირვინოს! აი ლეჩაქი საპირბაღო, ჩემო მალხაზო!  
**ივერიკო.** არა, გამდელი! სამკაული ხელში დაიქი! მერე მოიკაზმე, როს მზისადმი ღალადს მოგჩივრებთ! ეგრევე არ უფვირს დაფარული სხეული მხესა, როგორც ბნელ ზრახვით დაფარული მკერდის ქვეშ გული! ეხლა კი, აბა, უამი არის მზის მსახურებდა! ჩემსა ამალას დაუძახე, ესდგეთ სამსხვერპლისთან!  
**გამდელი.** ისინი უკვე მზად არიან, ჩემო გვირგვინო! დიდიხანა მოიკაზმენ და შენს ბრძანებას ელიან მხოლოდ, რომ საკრავთა ორღანობით: სტვირით, წინწილით, სალაშურით, ცხრაძალა ჩანგით შენ წინ წარმოსდგენ და აღამსთონ ლოცვა მზისადმი. აგერ, ციხიდან გამოდიან!  
**ამალა** (გამოდის რამდენიმე ასული. ხელში საკრავები უჭირავთ. ყველას თხელი, ცისკრისფერი ტანისამოსი აცვია და წელზე წითელი სარტყელი აქვს შემორტყმული. სამსხვერპლოს ირვავლი წრეს ავლებენ. თვით სამსხვერპლო ერთის მარმარის სვეტისგან შესდგება, რომელსაც თავზე მოზრდილი ჯამი ადგია, საიდანაც ცეცხლის ალი პრილებს. დაბლა ზეარაკი იწვება და სხვა და სხვა სურნელება იქმევა).  
**ივერიკო.** (სამსხვერპლოსკენ ვაემართება. წრის შუაში ჩადგება და ლოცვის დროს ხშირად აღაპრობს ხელებს. კოლხო და კავკასო თავდახრილი და ერთმანეთს მიყრდნობილი მოწიწებით სდგანან გამდელი მუშკამბარს აკმევის).  
ჰოი ნათელი, ოქროს თვლო, მზეო ბრწყინვალე! შენ, რომელიც კი ასულდგმულბ ჩემს ტურფა მხარეს და ყოველ წამსა ჰშობს ახალსა, ნორჩსა სიცოცხლეს! შენ, რომელიც კი პაპიემის ღვთაება იყავ და დღეს მის ასულს მოუვლინებ უშრეტ სიხარულს, აწ შენს წინაშე წარმოგმდგარავარ სულით შიშველი და გვირავ შენთა ნახ სხივთაგან განწმენდილ ლოცვას! როს ჩემის ზღვიდან საბინდეთში მიეშურები და იქ მერე ზღვაში ჰპოვებ განსახვეწებელს, ყოველი სულდგმული, თუ მცენარე შენ სხივზე ნაღვლობს, მერე დილას სულის სწრაფვით გელოდებიან, რომე ჰაბუკი აღმობრწყინდე კვლავ ცეცხლის ეტლზე

და სძლიო ბნელი, შენ უმძლესთა მძლეთა-მძლევებდა. ხოლო როდესაც ვანთიადი—ჩემი დობილი—გვახარებს ხოლმე შენს მხიარულს მოახლოებებს, ჩემი სამშობლო ჩემთან ერთად შეგვას ეძლევა და ახალ ძალით აღჭურვილი შენის სხივებით შემოვღალადებთ: ნათლისთვლო, იყავ კურთხეულ!  
**ყველანი.** (ასოებით)  
მზეო ბრწყინვალე, ნათლის თვლო, იყავ კურთხეულ! (ამ დროს შემოდინან სამნი რაინდნი და შორი ახლოს გაჩერდებიან).  
**VI**  
**ივნივე და სამი რაინდი.**  
**ივერიკო.** შენა ხარ წყარო დაუშრეტე ცხოველურ ძალის, რაიც სივრცეში გაფანტულა შენთა სხივთაგან, და რომლისგანაც აღმოცენდა ტურფა ბუნება! ხოლო ბუნებამ შენის ძალით შეა ერთ ჩემი და იგი ერი შენს დიდებას მოგწარავება: ჰსურს შეგიერთდეს თვისის სულით შენ, დიად სულსა, რომ მან, ნაწილმა, შეიმოსოს შენი სრულყოფა—მიტომ აღვავლენთ, ჰოი მზეო, ჩვენო ღვთაებაე!  
**ყველანი.** იყავ კურთხეულ ჰოი მზეო, ჩვენო ღვთაებაე!  
**ივერიკო.** შენ, ოქროს სხივთა ჯღიანიო, საწყაროს სული, რომელიც გზნებით ჩემს ქვეყანას ზედ დაჰქატიათებ და ჩემ საყვარელ ერსა აბამ შრომის ფერხულში, და შენის მადლით მოიმიჯან სასურველ ნაყოფს, მოეც კვლავ ძალა, რომ შენს სახელს კვლავ ადიდებდნენ და ნუ მოუშლი შენს საწუქარს და ტკბილსა ძღვენსა, ჰოი უკვდავო ქვეყნის სული, ჰაბუკო მზეო!  
**ყველანი.** ჰოი უკვდავო ქვეყნის სული, ჰაბუკო მზეო!  
**ივერიკო.** მოეც აგრეთვე ჩემს ქვეყნის ერთგულ რაინდებს დაუშრეტელი ძლიერება ჰავ შენს წყაროდან, რათა შეიძლონ დარაჯობა ჩემის ერისა და მით დაიცვან უცხო მტრისგან შენი მსახურნი, რომ ხმათა შესხმით აღიარონ შენი სახელი და სთქვან ღალადით: მევე მზეო, იყავ კურთხეულ!  
**ყველანი** { ჰოი უკვდავო, მევე მზეო, იყავ კურთხეულ!  
**სამნი** { ჰოი უსმინე ეს ღალადი, ჩვენო მნათობო,  
**რაინდნი** { და მოგვეც ძალა, მსახურებდეთ ჩვენსა დედოფალს.  
**ივერიკო.** ჩემი ამალა შენს ჰიმს, აბგერს, მზეო ცხოველო, და სულსა ვიტკობ შენთა ჰანგის მწყობრბოვანებით; ჩემი სხეული ეთვისება შენს სხივთა რხევას და ვიკვავ შენსაღ სადიდებლად შენს ნათელ ცეკვას! (ამალა მუსიკას უკრავს, ზოგნი გალობას აყოლებენ. ივერიკო მკერდადღლილი ჯერ მიძიდვ, მაგრამ შემდეგ თანდათან მხურვალედ ცეკვავს).  
**ამალა.** ქვეყნის თვლო, ზესთაზეო! სხივთა კონავ, დილო მზეო! სამხთო ჩვენი, ესდენ მცირე, სულით გიძღვნი, შეიწიო!

დედოფალი შენთვის ცეკვავს, ჩვენც ვადიდებთ შენს სახელს; მარად ეგრე გვინათებდე, ნუ მოგაკლებ შენს მადლს—ნათელს!  
თუ სიცივე გულს დააზრობს, ან თუ ბნელი გაგვამწარებს—შენგან იმედს არა ვკარავთ, შენი სხივი გაგვახარებს! ნუ წარგვიშლი უშრეტ გრძობას, განგვიტკიცე სიყვარული;  
ჩვენიანებს მოეც სიტკობ, განცხრობა და სიხარული. არ დავიკვნეს ბალში ვარდი, არ შემოწვენს გულში დარდი! მეუფეო, ზესთაზეო, სხივთა კონავ, დილო მზეო!  
**ივერიკო.** (როდესაც ცეკვას ვათავებებს, ხოლო ამალა—გალობას).  
იყოს თქვენზედა მადლი მზისა!  
**ყველანი.** და თაყვანს ვცემდეთ!  
**კოლხო.** (რომელიც აქამდის რაინდების წინ ზურგშეკცევით იდგა, სიხარულით და აღტაცებით მიესალმება) კეთილი იყოს თქვენი მოსოლა, ჩვენო რაინდნო! თქვენ, ჩვენი ქვეყნის მხენ გულშანო, სალაში თქვენდა! აი, ივერო! შენ წინ სდგენან შენი რაინდნი! ჰხედავ მათ სახეს, ვით ამკლავნებს გულის სიხარულს! აი, ეს ქართლო! ეს იმერო! და იგიც კახო! დღეს ეს რაინდნი სამსა კუთხით შენსა ქვეყანას და შენს რჩეულ ხალხს სდარაჯობენ!  
**ივერიკო.** სალაში თქვენდა! მარად მესმოდა თქვენი საქმე ესდენ საგმირო და თქვენთან ვცოცხლობ სულით, გულით, ჩემის ოცნებით!  
**ქართლო.** (მუხლს მოუყრის) მზოკურთხეული დედოფალო! დღეს სამნი ძმანი აღსილვართ დიდის სიხარულით, რა თვალთ გხედავთ და სამთავ ერთი აღტაცება გვხდებდა გულიდან: მზისგან რჩეული დედოფალი იყოს კურთხეულ!  
**კახო.** (აგრეთვე) ჩვენ სამნი ძმანი შემტკბრნი და ერთგულნი მარად ჩვენსა დედოფალს ერთგულადვე ვემსახურებით! მე ჩემი კუთხე, ქართლომ თვისი, იმეროც თვისი—ყველა კი შენი, საკუთრება შენის ტახტისა—ჩვენის ერთგულის დარაჯობით ვაცხავილეთ და დღეს მცხოვრები ყოველ კუთხის ასე ჰღალადებს: მზისგან რჩეული დედოფალი იყოს კურთხეულ!  
**იმერო.** ჩვენ სამთა ძმათა ერთმანეთი სულით შევიტკებთ, რადგან სამივეს შენ გვიყვარხარ, და შენ გმორჩილობთ. ვერ დაიკვებოს ჩვენს წინაშე ვერც ერთმა მტერმა, რომ ჩვენ შეგვებმოდეს და ამ შემთით მას ვაემარჯვოს! თუმც ხორციტ შორსა, მაგრამ ფიქრით შენთან ვიყავით და იგი ფიქრი ჩვენ მარად ეამს გავსულდგმულბდა. აწ სამთ გიხილეთ, სიდიადე თვალმაც იხილა და ხალხის ხმასა, ვინ დღეს სახელს შენსას ატარებს, ჩვენსას ვუერთებთ! კურთხეულ ხარ უკუნისამდე!


და სძლიო ბნელი, შენ უმძლესთა მძლეთა-მძლევებდა. ხოლო როდესაც ვანთიადი—ჩემი დობილი—გვახარებს ხოლმე შენს მხიარულს მოახლოებებს, ჩემი სამშობლო ჩემთან ერთად შეგვას ეძლევა და ახალ ძალით აღჭურვილი შენის სხივებით შემოვღალადებთ: ნათლისთვლო, იყავ კურთხეულ!  
**ყველანი.** (ასოებით)  
მზეო ბრწყინვალე, ნათლის თვლო, იყავ კურთხეულ! (ამ დროს შემოდინან სამნი რაინდნი და შორი ახლოს გაჩერდებიან).  
**VI**  
**ივნივე და სამი რაინდი.**  
**ივერიკო.** შენა ხარ წყარო დაუშრეტე ცხოველურ ძალის, რაიც სივრცეში გაფანტულა შენთა სხივთაგან, და რომლისგანაც აღმოცენდა ტურფა ბუნება! ხოლო ბუნებამ შენის ძალით შეა ერთ ჩემი და იგი ერი შენს დიდებას მოგწარავება: ჰსურს შეგიერთდეს თვისის სულით შენ, დიად სულსა, რომ მან, ნაწილმა, შეიმოსოს შენი სრულყოფა—მიტომ აღვავლენთ, ჰოი მზეო, ჩვენო ღვთაებაე!  
**ყველანი.** იყავ კურთხეულ ჰოი მზეო, ჩვენო ღვთაებაე!  
**ივერიკო.** შენ, ოქროს სხივთა ჯღიანიო, საწყაროს სული, რომელიც გზნებით ჩემს ქვეყანას ზედ დაჰქატიათებ და ჩემ საყვარელ ერსა აბამ შრომის ფერხულში, და შენის მადლით მოიმიჯან სასურველ ნაყოფს, მოეც კვლავ ძალა, რომ შენს სახელს კვლავ ადიდებდნენ და ნუ მოუშლი შენს საწუქარს და ტკბილსა ძღვენსა, ჰოი უკვდავო ქვეყნის სული, ჰაბუკო მზეო!  
**ყველანი.** ჰოი უკვდავო ქვეყნის სული, ჰაბუკო მზეო!  
**ივერიკო.** მოეც აგრეთვე ჩემს ქვეყნის ერთგულ რაინდებს დაუშრეტელი ძლიერება ჰავ შენს წყაროდან, რათა შეიძლონ დარაჯობა ჩემის ერისა და მით დაიცვან უცხო მტრისგან შენი მსახურნი, რომ ხმათა შესხმით აღიარონ შენი სახელი და სთქვან ღალადით: მევე მზეო, იყავ კურთხეულ!  
**ყველანი** { ჰოი უკვდავო, მევე მზეო, იყავ კურთხეულ!  
**სამნი** { ჰოი უსმინე ეს ღალადი, ჩვენო მნათობო,  
**რაინდნი** { და მოგვეც ძალა, მსახურებდეთ ჩვენსა დედოფალს.  
**ივერიკო.** ჩემი ამალა შენს ჰიმს, აბგერს, მზეო ცხოველო, და სულსა ვიტკობ შენთა ჰანგის მწყობრბოვანებით; ჩემი სხეული ეთვისება შენს სხივთა რხევას და ვიკვავ შენსაღ სადიდებლად შენს ნათელ ცეკვას! (ამალა მუსიკას უკრავს, ზოგნი გალობას აყოლებენ. ივერიკო მკერდადღლილი ჯერ მიძიდვ, მაგრამ შემდეგ თანდათან მხურვალედ ცეკვავს).  
**ამალა.** ქვეყნის თვლო, ზესთაზეო! სხივთა კონავ, დილო მზეო! სამხთო ჩვენი, ესდენ მცირე, სულით გიძღვნი, შეიწიო!

დედოფალი შენთვის ცეკვავს, ჩვენც ვადიდებთ შენს სახელს; მარად ეგრე გვინათებდე, ნუ მოგაკლებ შენს მადლს—ნათელს!  
თუ სიცივე გულს დააზრობს, ან თუ ბნელი გაგვამწარებს—შენგან იმედს არა ვკარავთ, შენი სხივი გაგვახარებს! ნუ წარგვიშლი უშრეტ გრძობას, განგვიტკიცე სიყვარული;  
ჩვენიანებს მოეც სიტკობ, განცხრობა და სიხარული. არ დავიკვნეს ბალში ვარდი, არ შემოწვენს გულში დარდი! მეუფეო, ზესთაზეო, სხივთა კონავ, დილო მზეო!  
**ივერიკო.** (როდესაც ცეკვას ვათავებებს, ხოლო ამალა—გალობას).  
იყოს თქვენზედა მადლი მზისა!  
**ყველანი.** და თაყვანს ვცემდეთ!  
**კოლხო.** (რომელიც აქამდის რაინდების წინ ზურგშეკცევით იდგა, სიხარულით და აღტაცებით მიესალმება) კეთილი იყოს თქვენი მოსოლა, ჩვენო რაინდნო! თქვენ, ჩვენი ქვეყნის მხენ გულშანო, სალაში თქვენდა! აი, ივერო! შენ წინ სდგენან შენი რაინდნი! ჰხედავ მათ სახეს, ვით ამკლავნებს გულის სიხარულს! აი, ეს ქართლო! ეს იმერო! და იგიც კახო! დღეს ეს რაინდნი სამსა კუთხით შენსა ქვეყანას და შენს რჩეულ ხალხს სდარაჯობენ!  
**ივერიკო.** სალაში თქვენდა! მარად მესმოდა თქვენი საქმე ესდენ საგმირო და თქვენთან ვცოცხლობ სულით, გულით, ჩემის ოცნებით!  
**ქართლო.** (მუხლს მოუყრის) მზოკურთხეული დედოფალო! დღეს სამნი ძმანი აღსილვართ დიდის სიხარულით, რა თვალთ გხედავთ და სამთავ ერთი აღტაცება გვხდებდა გულიდან: მზისგან რჩეული დედოფალი იყოს კურთხეულ!  
**კახო.** (აგრეთვე) ჩვენ სამნი ძმანი შემტკბრნი და ერთგულნი მარად ჩვენსა დედოფალს ერთგულადვე ვემსახურებით! მე ჩემი კუთხე, ქართლომ თვისი, იმეროც თვისი—ყველა კი შენი, საკუთრება შენის ტახტისა—ჩვენის ერთგულის დარაჯობით ვაცხავილეთ და დღეს მცხოვრები ყოველ კუთხის ასე ჰღალადებს: მზისგან რჩეული დედოფალი იყოს კურთხეულ!  
**იმერო.** ჩვენ სამთა ძმათა ერთმანეთი სულით შევიტკებთ, რადგან სამივეს შენ გვიყვარხარ, და შენ გმორჩილობთ. ვერ დაიკვებოს ჩვენს წინაშე ვერც ერთმა მტერმა, რომ ჩვენ შეგვებმოდეს და ამ შემთით მას ვაემარჯვოს! თუმც ხორციტ შორსა, მაგრამ ფიქრით შენთან ვიყავით და იგი ფიქრი ჩვენ მარად ეამს გავსულდგმულბდა. აწ სამთ გიხილეთ, სიდიადე თვალმაც იხილა და ხალხის ხმასა, ვინ დღეს სახელს შენსას ატარებს, ჩვენსას ვუერთებთ! კურთხეულ ხარ უკუნისამდე!

\*) იხ. „საქართველო“ № 13.



ლება და ემძიმება ხოლმე, ჰსჩანს მართლა დიდი უბედურება უნდა ტრიალებდეს კინტირის მარჯვნივ, რომ მთავრობა იძულებულ იქნა ეგ უბედურება ყველასათვის ეფუძნებინა. მთავრობა მიჰყვებოდა კიდევ გაჭირებულს ხალხს, მაგრამ იგი შეველა საქმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის? რატომ იმდენად არ მიჰყვებოდნენ, რომ იმდენად ცუდსა-კმარისია? რაო, სახელმწიფოს იმოდენა ღონე აღარა აქვს, თუ სხვა რამ მიზეზია. განა ამისთანა შემთხვევაში, ულონობის გარდა სხვა რამ მიზეზიც შეიძლება რომ იყოს! ულონობა კიდევ ჰკვაში მოსასვლელი არ არის: სახელმწიფოსათვის ერთის მარჯვის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის. ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრნია რით ავსხნათ ეგ ნამცეცების მიწვდა, როცა ხალხი ერთის მთელის მარჯვისა მიშველტირებელი, მშვიერ-მწყურვალე თვის გარეშემო ჯოჯოხეთისა ჰგონობს. ან სულ ჰო, ან სულ არა. აქ ორ წყალშუა დროს უადგილოა და ამაზედ მეტიც—თუ სწორეს ვაფიქვინებთ...



ყუმბარა მიზანს მოხვდა.

ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობა ამისთანაში მოვალე და ყოველად შემძლებელი ღონე, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულ-გრძობად ვუყუროთ ჩვენის ძმების უბედურებას; გულ-გრძობად და თუნდა ცარიელის გულის ტკივილითაც შევყუროდეთ როგორ თორთის და იკრუნჩხებაში შევყოფილი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუ გამშრალს დედას; როგორ ტყის ნადირსავით დაძრწის ღონე მიხილილი დაშვებული მამა, იმედ დანთქმული რომ რითიმე მივშველოს შიმშილისაგან სულითმობრბავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდან შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილი სულთა-მხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისის და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“, საცოდავი კნაველი ბავშვისა: „მამაე პური“... „მამაე პური“... გარბის თვითონაც დამწყვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგონობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდან ყოველივე ის, რისთვისაც მსცხოვრობდა, რისთვისაც სულდგმულობდა,

რისთვისაც იხრწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზედ უძვირფასესია... ჰგონობს და გულს უზბარავს მწვატირებელი სასოწარკვეთილებისა, უმედობისა და ულონობისა. ან არა დგას ამ საშინელი სურათის წინ ულონო, ულოჯო, თვალზე ჩაკვირებული, ნაწლებს ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს რომ თვალ წინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის რომ არსაიდან ხსნა არ არის, არსაიდან შეველა. და თუ რამ ნუგეში აქვს, ეგ ის ნუგეშია რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის დაუძღვრებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრება... იცით მერე ამისთანა ყოფა რატანჯვავა ნამეტანვად მაშინ, როცა ხელდავ, რომ გარშემო, მთელი მარჯა, ათას-ათასი ღვთის-კერძი აღამიანი წივის, კივის: „გვიშველეთ, შიმშილები, მშვირები ვიხოცებითო!“ ეგ მთელი ჯოჯოხეთია, მთელი...

წივინეთ რითაც შეგვიძლიან, ფულით, საქმლით, საცმლით, ხორავით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაც-მოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის-წინაშე. შევეწვიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას რომ კაცთ-მოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენ-შიაც ისე ყოველად შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ რომ ჰიროში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ რომ ძმობა, ერთობა, ერთმანეთის შეველა და ვატანა—უქმი სიტყვა არ არის ქართვლობისათვის... აქ უკან დახევა სირცხვილი ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირებულები ძმები ვართ, ძმები... ეს არას დროს და არას შემთხვევაში არ უნდა დავიფიქროს ქართველობაში... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობაში ჩვენი ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავე, ჩვენი უწინდესი ვალია, უნდა მივეშველეთ... ღირსი ვართო ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღირსი იცის, არა არის შეველა, რა არის ძმობა გაჭირებაში.

ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოველისფერში გულ-უხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულ-უხვიობას გაჰსწვევს და არ დაიხარებს გაჭირებულ ძმათათვის შესაწირავს.

აბა, ქართველობავე, ესლა შენ იცი

როგორ დაინახებთ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებს! ესლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდრძს: ძმა ძმისთვის და შეგ დღისთვის! ესლა გამოჩნდება, ეს ანდრძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სახვეს საქმე!... ესლა გამოჩნდება, შენ მარტოდ დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისათვისაც მსწუხ და ჰფიქრობ...!

ყოველივე ეს უბედურებაა, რომელიც თავს დაჰსცემია აქარა-ქობულეთს და მისი უნუგეზოდ ყოფნა დიდს განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის მცხოვრებელთა. რუსულ გავითში „Голод“—ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენტია და მერე სხვა გაზეთებშიაც დაბეჭდილი, რომ აქარალები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლება. ამის მიზეზი იცის, როგორც ეტყობა კორესპონდენტმა, მაგრამ გამტელანება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები აი ამბობენ, რომ ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ასეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოლდა არისო და დიდი დანაშაულიაო სახელმწიფოს წინაშეაო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ? . . . . . თუ მართლა აქარა აიყრება და გადასახლება საკვირველი რამ იქნება თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რად უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში? . . . . . მერე როგორ? თავის მამა-პაპულს ბინას, სახლს, კარს, მამულს-დედულს, მამათა-სალოცავს, მამათა-საფლავს—სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა?.. საკვირველი ამბავია!.. ნუ თუ რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში? ნუ თუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს—ვიმეორებთ—მამულს, სახლ-კარს, ადვილს, საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა—და მიდის სად? ოსმალეთში . . . ? . . . რაო; რა ამბავია?

მოჩენებაა შემოინებული გონებისა, თუ მართლა მარჯოლო... ამბავია! . . . . . რად მიიზიდეს ხალხი, მერე როგორ მიიზიდეს ვიწროუბნით—სულ ყველაფერს მსტოვებს რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთი-სოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შეჰსტრფვის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობას—დიად მსტოვებს და მიდის სად? . . . ოსმალეთში!...

ეს რა ამბავია, რა ამბავია!.. აღამიანი კიდევ აღამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხცვდა, რომ გვერდთ აღამიანს ვეღარ იყენებს, ვეღარ იშვინებს, ვეღარ ითვისებს! ხალხი თავის ათასწლობით დამკვიდრებულ ბინიდან იშლება და მიდის... ეს დაუფერებელი ტვირის შემრყევი ამბავი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან: ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი ააღებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულუბამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიგისა თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნგავი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვილი ჩინოვნიკობა. რაოდენიმე კაცის გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალყზედ დგება. ამათ შორის საცა გამოვლენული სამსახურიდამ კაცი იყო თურმე, საცა გამოუსადეგი უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დაინახებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა? არავის ეჭვი არ აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა, და აქარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს...

ილია ჭავჭავაძე.

**კავკასო.** ეხ, დედოფალო, ჩვენი შვილო, ასულო ჩვენო! სიხარულისაგან ჩემი თვალი ცრემლით იცემა როდესაც ვხედავ სულთან ახლოს ესრეთ ჰაბუტებს, რომ შენს მომავალს ერთიორად განგიმტკიცებენ და მეც, მოხუცსა, შენს მსახურსა მომიგონებენ! რადგანაც წინად დარწმუნებულს მეცოდინება, რომ შვილიშვილი ღირსეულად გემსახურება და მით უკვდავს ჰყოფს შენს სახელსა, ნათელი შემოსილს, სიამედ მიმარნს მოსვენება, საფლავად ჩასვლა. შენ თვითონ იცი, ჩემი მთანი (თავზე ხელს იდებს) ასე სპეტაკნი, დღეს შენი არის, შენი კერძო და საკუთრება! და მე კი წავალ სიხარულით და მოვისვენებ!

**კოლხო.** (სიხარულით გულაჩუყებულს თვალბეჭითი ცრემლები ადგება.) ჩემო იმედო, თვალის ჩინო! მეც ჩემსა ხმასა ჩემის მოხუცის ხმას ვუერთებ—ო, რა ნეტარი განცდაა ჩემთვის—სამ ძმას ვხედავ შენს ერთგულ რაინდო, რომელნიც შენს ერს ჰპატრონობენ და შეგებს ჰყრიან. — და იმედი მაქვს მუდამ ასე ერთგულნი დარჩნენ! ეს ჩემი ხმალი, ეს გვირგვინი და ესეც სკიპტრა შენს ფერხთ წინაშე მომილია—მე ჩემი განვლე— ესლა ეს ერთ-ერთს ახალგაზრდას უნდა გადასცეს!

**ივერიკო.** (ხმალი ნახევრად იდებს ქარქაშიდან.) ჰოი ბრწყინავო და ცხოველო რკინავ ლახვარო! შენა ხარ ძალა, დიდება და თავისუფლება! (სიჩუმის შემდეგ გვირგვინს ათვალთვლებს. შემდეგ ქართლოსკენ გაექანება. ცოცხლად, გატაცებით, სიყვარულის ვნებით.)

ო, ჩემო ქართლო! შენნი თვალნი რაივ ბრწყინავენ, შეყვარებული შენი სული სიღრმით გამოკრთის, ხოლო იმ სულში იხატება თვით ჩემი სახე. მესმის მორთოლოვარე გულის ძეგრა და იღუმალის ბეგრა ტრფობისა მაგ გულიდან აღმონთებული—ო, რა ვამაყობ, გვირო, შენის ერთგულებითა! (იმეროს ავრევე)

ჩემო ივერო, გამჭირახო, ჩემო რაინდო! ვგრძნობ შენის გრძობის წმინდა ალერსს ჩემდამი მოძღვნილს, განუყრელი ვარ მე შენს სულით და შენს ფიქრთაგან! შენც, როგორც ქართლო, გულს უყვარხარ დასაბამიდან და ვიგრძნობ თვით შენს სიყვარულსა დაუშრეტელსა—ო, რა ვამაყობ, გვირო, შენის ერთგულებითა! (კახოს, ავრევე)

ო, ჩემო კახო! რაინდო და ჩემო არწივო, თვით სიხარულიც მე შენს მიჯნურს თავს რო ვეველები! განა არ მამცნობს შენი ზრუნვა,—რაიც თანაბრად დიადი არის იმეროს და ქართლოს ზრუნვასთან,—რომ შენც იმათებრ ღრმად გიყვარვარ თავდაღლებულს—ო, რა ვამაყობ, გვირო, შენის ერთგულებითა! (სამივეს)

და თქვენ, რაინდო, საყვარელო, სულისთვისტომო! მას შემდეგ, რაცხან მზემ წარმოგვევა თვის წილიდან, ეს ჩემი სული, ჩემი გრძობა თქვენ გეკუთვნოდათ, ხოლო თქვენი კი თქვენს მიჯნურსა ბედნიერს მყოფდა! ამ ხმალი, ამ გვირგვინს და ამ სკიპტრას მე თვით ვიტოვებ, რაიც იქნება საკუთრება აგრეთვე თქვენი, ხოლო თქვენ სამთავ ჩემს უსაზღვრო სიყვარულს ვიძღვნი!

**კოლხო.** | (გრძნობთ ავგისილი, აღტაცებულნი ივერიკოს კავკასო. | გარს ეხვევიან)

ჩვენი ჰკვიანო! ჩვენი სიბრძნე! **რაინდნი.** (მუხლს მოუყრიათ).

მადლობას გწირავთ!

**ქართლო.** მაგ შენსა სახეს ნათლად ვხედავთ უსაზღვრო გულში! შენის ცხოვრების სუბტივით ჩვენც ვსუნთქავთ!

**კახო.** და გვამოძრავებ!

**იმერო.** და გვამოქმედებ!

**რაინდნი.** შენი საუნჯე ჩვენი არის, ჩვენი კი—შენი!

**ქართლო.** ერთ ვაზაფხულის მხიარულ დილას გამომიქოლო, თან წარმიტაცე—

**კახო.** და შემეყვანე სულის წალკოტში, სად მამაპაპის ვაძი ელავა.—

**იმერო** მითხარ: აკრიფე იგი საუნჯე

**ქართლო.** და წამოვიღე იგი საუნჯე, და გარდავეცი იგი ჩემს ერსა—

**კახო.** მაგრამ როს მწყურხის ბინდი მოვიდა, შენს სამხვეგრბლოს წინ ლოცვად წარმოვსდექ—

**იმერო.** და რა ვიხილე? იგი საუნჯე, მე რომ ერს ვუძღვენ, შენგან მოძღვნილი—

**რაინდნი.** შენს ფერხთა ქვეშე მწყობრად ელავა! და აწ ვენტარებთ, დედოფალო, შენის საუნჯით!

**ივერიკო.** რა რივ ვენტარებ, მეც თქვენთან ერთად, ო საუნჯელო! ჩემო რაინდო!

**კარის დარაჯი.** (შემოდის, თავყვანს სცემს) ეს—ეს კი იყო მოციქულნი ჩამოხტენენ კარზე და თხოულობენ, ნება მისცეთ წარმოდგომისა!

**კოლხო.** ჩვენი სასახლე მოყვასათვის მუდამ ღიაა.

**ივერიკო.** სთხოვე წარმოსდგენ! (დარაჯი გადის) გული მიგრძნობს რაღაჯ კულს ამბავს!

**კოლხო.** ალბად ის ჰგზავნის—ჩემი მტერი—ამ მოციქულებს!

**რაინდნი.** დარბაისელო, თუ რამ იცი, შეგვაცუობინე!

**კოლხო.** თქვენ კარვად იცნობთ, მასთან ხშირად ბრძოლაც გქონიათ

და არა ერთხელ ამ ქვეყნიდან განგდევნიათ! დიდი ხანია ჩემად იყო, არას გვერჩოდა და თქვენ ამ ხანად ააყვავეთ ივეროს ერი, მაგრამ იმ უტხოს, ჩვენ მოსისხლეს, იმ ლომარაინდს ისევე აღძვრია გულში შური—სწორედ ეს იყო მიზეზი ჩემი უმთავრესი რომ დაგებარეთ— და დანარჩენსაც თვით მოიხსენეთ მოციქულთაგან! (შემოდის სამი მოციქული)

**VII**  
**იგინივე და მოციქული.**

**კოლხო** კეთილი მოსვლა, თუ სიკეთით მოსდინართ ჩვენთან!

**პირველი მოციქული.** (თავს უკრავს)  
შენც კარვად იცი, თუ ვინც მგზავნის, რა საქმისთვისაც—  
**მეორე.** დიდი ბატონი, ვინაც უფლობს მთლად მზის ქვეყანას.  
**მესამე.** ის შენთან გვგზავნის, დედოფალო, უკანასკნელად—  
**პირველი.** რომელიც იკვე საზღვარზე სდგას ურიცხვის ჯარით—  
**მეორე.** და მოუთმენლად ელის ამბავს, თუ რას გარდასწყვეტ.  
**მესამე.** როგორც ნიაფ ყვავილების სურნელს იტაცებს და მიაქვს სხვაგან, მის სიამეს სხვას აგრძნობინებს—

**პირველი.** ეგრევე ნიავმა ჩვენს დიდბატონს, ქვეყნის ბრძანებელს, შენის მშვენიერს და დიდების გამოძახილი ყურს ჩააწვეთა—

**მეორე.** და აღავსო კვალად სურვილით—  
**მესამე.** ნებით თუ არა, ძალით შენი თავი დაიპყროს!  
**პირველი.** მხოლოდ შენ მსურხარ ერთად ერთი მთელს ქვეყნის ზურგზე,

სრულად უარყო, რაც მხელებადა ქალნი მას ჰყავდა—  
**მეორე.** და ერთს გიმზადებს იშვიათსა, ბწყინვალე გვირგვინს!  
**მესამე.** თან დაგვაბარა ვითხრათ: ნებით თუ არ გაჰყვები—  
**პირველი.** დაუყოვნებლად შენს ქვეყანას შემოესება—  
**მეორე.** და შესარცხვენად სადღეოფლო გვირგვინის ნაცვლად—  
**მესამე.** შეგმოსავს იგი ძველს ძონძებში, ტყვეთ თან წააყვანს—  
**პირველი.** უბრალო მხეველად გარდაგაქცევს, ხასად დაფიცავს!  
**იმერო** (ამ სიტყვებზე აენთება, მივარდება მოციქულს და ისე ძლიერად შემოჰკრავს სილას, რომ მოციქული უგონოდ დაეცემა.)

აი, პასუხი! წადით ბატონს ეს მოახსენეთ და ჩვენც პირისპირ იმა თავხედს მალე შეგხედებით! (ივერიკოს)

ო დედოფალო! მამატიე შენს ერთგულ მსახურს, უკეთუ წყენით აღსაცემია ვერ გამოვნახე ამ მთხრობელისთვის უკეთესი საშუალება!

**ქართლო.** წადით და ეგრე მოახსენეთ და დაუმატეთ, რომ სამნი ძმანი მზად არიან შეგებრძოლონ—თქო!

**კახო.** თქვენი ბატონი კარვად იცნობს ამ სამსა ძმასა და კვლავ გაიცნობს უკეთესად— (მოციქულთაგანი გადის)

**ივერიკო.** ჩემო რაინდო!

ჩემო იმედო, ჩემის სულის სიამაყენო!

**კოლხო.** | (ხელ აპყრობილი ერთად)



**კავკასო.** | აწ განუტევე მონა შენი, მზეო ზენაო!

**ფარდა.**  
(შემდეგი იქნება)

და არა ერთხელ ამ ქვეყნიდან განგდევნიათ! დიდი ხანია ჩემად იყო, არას გვერჩოდა და თქვენ ამ ხანად ააყვავეთ ივეროს ერი, მაგრამ იმ უტხოს, ჩვენ მოსისხლეს, იმ ლომარაინდს ისევე აღძვრია გულში შური—სწორედ ეს იყო მიზეზი ჩემი უმთავრესი რომ დაგებარეთ— და დანარჩენსაც თვით მოიხსენეთ მოციქულთაგან! (შემოდის სამი მოციქული)



# მეგობრული შარკი



აკაკის საღამოზე

შალვა მესხიშვილი. აკაკი დიდებული მგოსანი იყო და... მთაწმინდაში ასენია.

ნიკო ერისთავი. ...მთაწმინდა ჩაფიქრებულია... ჰმ... ჩაფიქრებულია...

## პრესა

„სახალხო ფურცელში“ ბ-ნი გედევანიშვილი ასეთ გეგმას იძლევა დაშუქულ-თა სასარგებლოდ, სულ ცოტა, 60.000 მანეთის მოსაგროვებლად:

ზოგ ჩვენში ჰგონია, ოლონდ კი დაიკვირებ რამე შიმშილობაზე და სწრაფ უკიდურეს ლიბერალისა და პროვოკაციის სამოსელი წამოგვსხმება. იმდენი ქალაქი და მელანი იხარჯება ამ უცნაურ და უადგილო კამათში, რომ ამის საფასურს ჰონორარიც რომ მივეუბნოთ, დარწმუნებული ვარ, ერთ დამშუქულ ოჯახს გამოვკვებავდით. ტუილისში, თუ არა ვსკდები, საპოც ათასი ქართველი სცხოვრობს. ამ სამ რე ათასში ოცდა-

ათი-ათასი მინც მოიპოვება, რომელიც შესძლებს ერთ-დროულად ორი მანეთის გამოღებას და გარწმუნებთ გამოიღებს კიდევ, თუ კი სიტყვას მივცემთ, რომ „შიშნობის“ კამათისაგან გავანთავისუფლებთ. მერწმუნეთ, რომ ამრიგად გაზეთი მკითხველი და დამშუქელი გლეხიც ბევრს მოიგებს და მგონია არც გაზეთი იზარალებს.

„ვერწმუნებთ“ ბ-ნ გედევანიშვილს და სიტყვას მივცემთ, რომ დამშუქულთა და ბ-ნ კ. აბაშიძის გარშემო ატეხილ კამათს სამუდამოდ თავს დავენებთ. დარწმუნებული ვართ სხვებიც გაჩუმდებიან, ოლონდ... შეასრულოს ამონაწერის ატეხობა თვის გეგმა.

## ახალი ამბავი

კახეთის რკინის გზა. 12 ივნისს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლებს და დეპუტატებს თათბირი ჰქონდათ კახეთის რკინის გზის შესახებ. განსახილველი იყო ორი საკითხი: 1) როდის ჩაიბაროს თავად-აზნაურობამ გზა მის ამშენებელ საზოგადოებისაგან, და 2) რა ანგარიში გაუწიოს ჩაბარების შემდეგ მოსალოდნელ ხარჯს, ერთნახევარ მილიონ მანეთს, რომელსაც მოითხოვს გზის ზოგიერთი სამუშაო და რომლის დამთავრებაც, პირობის თანახმად, საჯაროდ უნდა თავად-აზნაურობისათვის. ეს

საკითხები საბოლოოდ ვერ გადაწყვეტა, რადგან კრებას ვერ დაესწრო გზის მკვლევარი ინჟინერი თავ. გ. პ. თუმანიშვილი, რომელიც გზის დასათვლიერებლად იყო კახეთში. დეპუტატთა საკრებულო ჰფიქრობს ამათ გადაწყვეტას, თავ. თუმანიშვილის თანადასწრებით შემდეგ კრებაზე.

პურის ნიხრის მომატება. მეფურნების უსტაბაშმა ოპანესკაძე-ნიხრის გუბერნატორს მიართვა თხოვნა გამოცხვარ პურზე ნიხრის მომატების შესახებ. კაპდანიანი ამტკიცებს, რომ მეფურნები დაიღუპებიან, პურის ნიხრს თუ არ მოემატა 1 კაპეიკო. დასამტკიცებელი საბუთებიც მოჰყავს ბ-ნ კაპდანიანს: როგორც ის ამბობს, პირველი ხარისხის პურს ჰყიდიან როსტოესა და

ბაქოში 6 კაპეიკად, ადგასა და ხარკოვში 6 1/2 კაპეიკად. თორე ხარისხისას ჰყიდიან ჩხვირ უსტაბაშმა 5 1/2 კაპ.

12 ივნისს თბილისის თვითმართველობის სამეურნეო კომისიამ დაადგინა, ყველა ხარისხის პურს მოემატოს გირვანჯაზე ნახევარი კაპ. ფასი. დანარჩენ სანოვაგებზე, კომისიის აზრით, ძველი ნიხრი უნდა დარჩეს.

სანიტარული ღონისძიება. გუშინ ქალაქის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ხუდავერდოვმა პოლიციის მოხელესთან ერთად დაათვალიერა სალდათის ბაზარი, სადაც მეწვრიმალე ვაჭრებს აღმოაჩნდა 1.000 ფუთამდე ჭუჭყიანი ქალაქის პარკები, რომლებიც შეიღველებს ატანდნენ ნასყიდ საქონელს. პარკები მოსპობლ იქმნა.



... „გაა-ა, ამითაც ვაჭრობა ისწავლეს!“

## ღვინის ახალი საკითხი ჩვენში

მეურნეობა ჯერ კიდევ ერთად-ერთი უმთავრესი დარგია ჩვენი წარმოებისა, მაგრამ უფროცხობის გამო დღესაც ისეთივე გზით მივდივით მას, როგორც იყო ჩვენი მამა-პაპა მისდევდა წარსულს ათასი წლების განმავლობაში. ეს ჩამორჩენაა მიზეზი იმისა, რომ ჩვენთვის საკმარისი პური-კი ვერ მოგვიყვანია და რუსეთის მოსავალზე ვართ დამოკიდებული. რუსეთის მეურნეობამ დაიმორჩილა ჩვენი მხარე ისეთს დარგშიც-კი, როგორც არის, მაგ. მევენახეობა. მარტო ბესარაბიის და ყირიმის მხარე რომ შევეუდაროთ ჩვენს ქვეყანას, დავინახავთ რომ იქ გაცილებით მეტი ღვინო მოჰყავთ, თუმცა ვენახების სივრცით ჩვენი მხარე აღემატება დასახლებულს ადგილებს. 1900 წლების ცნობით საქართველოში დამუშავებული იყო 203,792 დღური ვენახი, რომელმაც მოიტანა 7,660 ათასი ვედრო ღვინო. ბესარაბიაში დამუშავებული იყო 175,212 დღური ვენახი, რომელმაც მოიტანა 12,008 ათასი ვედრო ღვინო. ყირიმში დამუშავებული იყო 23,396 დღური ვენახი, რომელმაც მოიტანა 2,570 ათასი ვედრო ღვინო. (მას აქვთ ამ 15 წელში თუ ჩვენში იმატა ვენახების რიცხვი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რუსეთში ერთი-ორად მაინც მეტს ვააშენებდნენ). მოყვანილ რიცხვებიდან ცხადად სჩანს, რომ ბესარაბიაში მოსავალი თითქმის ორჯელ და ყირიმში კი სამჯერაც იმდენს იძლევა, რამდენსაც ჩვენში ვხედავთ. ყოველს უკეს ვარეშვა, ეს უმთავრესად ვენახის უკეთესად დამუშავების შედეგი უნდა იყოს. ჩვენი მხარე ბუნებით ღვინის მხარეა, ველურად-კი იზრდება ჩვენში ყურძენი; რატომ არ უნდა შეგვეძლოს ღვინის ბაზარზე ბატონობა რუსეთში მაინც! საქართველო მხოლოდ სიყვარულით და დაუნებობით საქმის მიყოლა. ბუნება თავისი სიუხვით და ცხოვრებაც თავისი ვითარებით ჯერ კიდევ ცოტათი მინცა გვეყვარობს, საქართველო ჩვენი გავანძობით. საქართველო მეტი ყურადღება მივაპყროთ ჩვენს მეურნეობას და განსაკუთრებით-კი ჩვენს მევენახეობას, რადგან მეურნეობაში ეს თითქმის ყველაზედ უკეთესი ამანაწარმებელია გაწეული შრომისა. თუ

ჯეროდნად მოვიკიდეთ ხელი ამ საქმეს, რუსეთის ვერც ერთი მხარე ვერ გაუწევს მეტოქეობას ჩვენს მეღვინეობას. ყველაგან, სადაც-კი როგორმე შესაძლებელია უნდა გაშენდეს ჩვენში ვენახი: მთების მაღლა ქედებზედ, ფერდობებზედ, კალთებზედ თუ დაბლა ბარში, ხროკებზედ, თუ ნოყიერს ადგილებზედ, ოლონდ ისეთი ადგილი კი იყოს, რომ ნახევრად მაინც მწიფდებოდეს ყურძენი. ჩვეულებრივ ასეთი ყურძენი, მართალია, კარგი ღვინო არა დგება, მაგრამ მცირედის ხეობით შეიძლება ეს ღვინოები ჩვენს ბლურს ჩვეულებრივ ღვინოებს დაემატონ, — ეს კი დიდი საქმე იქნება. ყურძენის დაუმწიფლობისა ჩვენ აგრე რიგად არ უნდა გვეშინოდეს. თავისთავად სიმკვლე ღვინისათვის ისევე აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, როგორც ალკოჰოლი: ღვინო ძალიან ძნელად შესანახია და მალე ფუჭდება, თუ მის საკმარის ალკოჰოლთან ერთად საკმარისი სიმკვლე არა აქვს (—ეს სიმკვლე, რასაკვირველია, ძმრის სიმკვლე არ უნდა იყოს!). ღვინის სურნელოვანება, როგორც წინააღმდეგ სიმკვლე ალკოჰოლზედ გავლენით აიხსნება, თუმცა აქ ყურძენის ჯიშს, ღვინის დედის სიკარგეს და დუღილის მსვლელობას ეკუთვნის უმთავრესი მნიშვნელობა. სამწუხაროდ ჩვენში, და რუსეთშიც, ღვინის ღირსებას მხოლოდ ალკოჰოლის რაოდენობითა ჰზომავენ, მაშინ როდესაც უფრო ღვინის ხეობს და სურნელოვანებას უნდა ვაქცევდეთ მეტს ყურადღებას. ამისათვის, რასაკვირველია ბაზრის მოთხოვნილებასაც ანგარიში უნდა გაუწვიოთ, ამის წინააღმდეგი, მგონია, მაინც-და-მაინც ბევრი არავინ იქნება. ჩვენში მიხედვით არიან, რომ ღვინისათვის სიმკვლე საჭიროებას წარმოადგენს. მაგრამ ის დაკვირვებაც აქვთ, რომ ღვინის სიმკვლესათვის ყურძენის ძალიან დამწიფება საჭიროა. ჩვენ კი ვიცით, რომ ყურძენის ძალიან დამწიფებას სიმკვლეს ძალიან შემცირება მოჰყვება; ეს კი არც ტბილის დღური უფუჭყობს ხელს, არც ღვინო დაიწმინდება კარგად და არც ღვინის შენახვა მოხერხდება დიდხანს, ჩქარა დაზიანდება და წახდება. ყურძენის სიმკვლეს დანაკლისის შესაყვებად ჩვენში კლერტებსა ჰზომავენ, ტბილს ჰაჭაზედ დაადლებენ ხოლმე:

ქაჭაში ბევრი ტანინია, რომელსაც მკვლე გემო აქვს და ღვინოც სწორედ ამ ტანინსა ჰზომავს საჭირო სიმკვლეს შესამსებლად. მაგრამ ამაში უსიამოვნო ის არის, რომ ტანინს მკვლე გემოსთან ერთად სიმწკლარტეცა აქვს. ეს კი ბევრს გემოთი არ მოსწონს და არც სტომოქისათვის არის ყოველთვის მარგებელი. ამის გამო ჩვენებურად დაყენებულს ღვინო ეგრობის ბაზარზედ და რუსეთშიც ძნელად ეტანებიან, გასაყალი ნაკლები აქვს. ჩვენში რომ ღვინოებს წლობით შესანახად აყენებდნენ, მაშინ ყურძენის ძალიან დამწიფება აუცილებელ საჭიროებად შეიქნებოდა და ჰაჭაზედ დაყენება ვერას აყენებდნენ; დროს განმავლობაში არამც თუ ზედმეტი მწკლარტე ტანინი, არამედ ყოველივე სხვა ზედმეტი ნივთიერება, თუ კი ამისთანა რამ დაყენებულ ღვინოში მოიპოვება, დაიორღეება და განშორდება ღვინოს. მაგრამ ჩვენში ღვინის წლობით თითქმის არავინ ინახავს და იმავე წელს (ე. ი. დაყენებიდან ერთი წელიწადიც არ გადის) გამოაქვთ ბაზარზედ გასასყიდად. ჰაჭაზედ დაყენებულ ღვინოს, მაშასადამე, დრო არა რჩება ზედმეტი ტანინის მოსაშორებლად. ამ ნაწილს საწინააღმდეგო ბუნებრივი საშუალება ყურძენის ცოტათი ადრე დაკრეფა და უჭკოდ დაყენება: უჭკობა გადამეტებულს ტანინს თავიდან ააცილებს ღვინოს, ადრე დაკრეფა კი საჭირო სიმკვლეს სტომოქის ყურძენში და, მაშასადამე, ღვინოშიც. ტბილში, პირველ შეხედვით, ცოტათი გადამეტებული სიმკვლეს არ უნდა გვეშინოდეს, რადგან დღური ღვინოს და შემდეგშიც სიმკვლეს ძალიან დაკლებს იცის, ხშირად თითქმის ნახევარზედ მეტადაც. ხოლო ტანინის ჰაჭობა სხვაფერად არ არის ხელსაყრელი. თუ ღვინო სხვაფერად ბუნებით მკვლეა, სიმწკლარტე უფრო ცხადად ემჩნევა, დღური ღვინოს სისხლად ნამეტანის სიამოვნო ჰგდება. ტანინი ხელის შეშლელიცაა ღვინის დედის გამრავლები-სათვის, რის გამო დღურიც ძნელად იწყობა. მხოლოდ თუ ტბილის დღური დროზედ არ დაიწყა და მძლავრად არ წვიდა, მუქამქამელ ბაქტერიებს დრო ეძლევათ გასამრავლებლად—ღვინოცა ღვინის მრავალგვარ ზიანისა. ამ მოკლედ ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, რომ გადაჭარბებული ტანინი მკვნებელია და არა მარგებელი ღვინისა-

თვის და ამიტომ უნდა ვერიდებთ მის გადამეტებას ღვინოში, მით უმეტეს, რომ ეგრობის ბაზარზედ და რუსეთშიც არ მოსწონთ მწკლარტე ღვინოები; ჩვენი ღვინოების სიმწკლარტე კი სამჯერ, ოთხჯერ და მეტადაც კი აღემატება მაგალითად, გერმანიის ვანტჰულ რეინის ღვინოებისას, რაშიც გამოკვლევის გავარწმუნებენ. ჩვენ ხალხში რატომ-ღაც გავრცელებულია აზრი, ვითომ ჰაჭა სიმკვლეს აძლევდეს ან უმატებდეს ღვინოს; ეს აზრი სრულებით უსაფუძვლოა და, რასაკვირველია, ასეთი ყალბი შეხედულება უნდა გაუფანტოთ ხალხს. გავი-მეორება: მართალია, ტანინი რადენააღმეხელს უწყობს ღვინის შენახვას, მაგრამ საკმარის ბუნებრივ სიმკვლეს შეუძლიან მკვლეობა გასწიოს და ღვინოც უკეთესი გემოსი გახვადოს. ამიტომ უნდა მივჩვიოთ ჩვენი ხალხი განსაკუთრებით თეთრი ღვინის დაყენებას უჭკოდ და, იქნება, ქვეყრების ხმარების ნაცვლადაც თანდათან ბოჩების ხმარება შემოვალე-ბინით, რადგანაც ღვინის დაყენება-შენახვაში ჭურჭელს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ დაუბრუნდეთ შეწყვეტილს. ნათქვამი იყო: მცირეოდენის ხერხით შეიძლება მოუწევარ ყურძენიდანაც გვირანი ღვინო დაყენებით. ეს ხერხი მღვინეობის იმაში, რომ ტბილს და-ვემარებოთ და მიუმეტებთ რაც იმას დააკლდა ცუდი აინდებისა თუ სხვა გარემოებათაგან, სახელდობრ, შაქარს, ჩვეულებრივ უმატებენ იმდენ შაქარს, რომ სიტკობა ამავე ყურძენის ჯიშს და ამავე ადგილზე გაშენებულ ვაზის კარგ მოსავლის ტბილს უდრის. ჩვენში ეს სიტკობა საშუალოდ 23 პროც-ით შეგვიძლიან განვსაზღვროთ და, თუ ტბილში ნაკლები შაქარია, ყოველთვის იმდენი შაქარი მიუმატებთ, რომ 23 პროც-დინ ავიდეს—ყურძენის ადრე დაკრეფის, რასაკვირველია, ყოველთვის შაქრის მიმატება დასჭირდება. (გადამეტებული სიმკვლესა ჩვენ მაინც-და-მაინც არ უნდა გვეშინოდეს, რადგან, როგორც ეტყობა, ჩვენებურ ყურძენს ძალიან მცირე სიმკვლე ჰრჩება დამწიფების დროს). ტბილში შაქრის რაოდენობის გასაზომად ჰზომავთ ვერდულებულს ტიეტრეას (არე-ომეტრს). ყველაზედ უფრო ადვილი სახმარებელი ბაზოს ტიეტრეაა. ეს ტიეტრეა ძალიან უბრალო მანქანაა შუშისა, ყველა მოზრდილ აფთიაქში იწოვება და,

როგორც სახელი გვიჩვენებს, ტბილში თუ ჩავდეთ ტიეტრეს დაიწყებს, რაც უფრო ღრმად ჩაეშვება ტბილში, ეს იმასა ჰზომავს, რომ ტბილში მით უფრო ნაკლები შაქარი ყოფილა. ამ შაქრის რაოდენობას გვიჩვენებენ ტიეტრეას ღეროზე აღნიშნული რიცხვები. მისამატებ შაქრის რაოდენობას ასე ანგარიშობენ: 1 ვედრა ტბილს რომ 1% ტი შაქარი მიუმატონ, საჭიროა დაახლოებით 0,302 გირ. შაქარი. 2% ტი შაქარი მიუმატონ, საჭიროა დაახლოებით 2X0,302 გირ. შაქარი. 3% ტი შაქარი მიუმატონ, საჭიროა დაახლოებით 3X0,302—და სხვა. შემდეგ ეს რიცხვი უნდა გამოვალდეს იმდენად, რადენიმე ვედრა ტბილიც გვინდა დავშაქროთ. მაგალითად: ჩვენა გვაქვს 120 ვედრა ტბილი, რომლის სიტკობაც ბაზოს ტიეტრეა 18% ტს გვიჩვენებს. ჩვენ გვინდა ეს სიტკობა 23% ტს ავიყვანოთ. ვსჯელობთ ასე: თუ ტბილი 18% ტს აქვს და ჩვენ კი 23% გვინდა გვეკონდეს, მაშასადამე, ტბილს 5% შაქრის მიმატება სჭირდება, 23—18=5. ჩვენ ვიცით, რომ 1 ვედრა ტბილს 1% ტი აწვივსათვის უნდება 0,302 გირ. შაქარი. 1 ვედრა ტბილს 5% ტით მიმატებისათვის დასჭირდება ხუთჯერ მეტი: 0,302X5=1,51 გირ. შაქარი. 120 ვედრა ტბილს 5% შაქრის მისამატებლად კი დასჭირდება 120-ჯერ მეტი 1,51X120=181,2 გირვანჯა ანუ 4 ფუთი და 21,2 გირვანჯა. რაც ნამეტან მოუწივებულ და მკვლე ყურძენს ტბილს შევება, აქ მხოლოდ შაქრის მიმატება არ იკმარება, საჭიროა ასეთი ტბილი შაქარ-წყლით განვალდეს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაზედ ლაპარაკი აქ მეტად მიმართია, რადგან ამისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ტბილის სიმკვლეს გაზომვა—ამას კი ჩვენში იშვიათად თუ ვინმე შესძლებს—და სადღეობლად ნარჩევ დედის მიცემა,—თუმცა ნარჩევი დედა ყოველგვარ ტბილისათვის არის კარგი და საჭირო. ამისათვის სხვადასხვა ადგილს, მევენახეობის თუ ვეღულის უნდა მოწყობილი იყოს ღვინის ქიმიის და ღვინის ნარჩევ დედის გამაშენებელი სადგურები, სადაც ავეყვანებთ შექცვლებით მიიტანონ თავიანთი ტბილი გასასინჯად და საჭირო რჩევის მისაღებად. ამავე სადგურებზე შექცვლებით ყოველთვის თვალყურს ადევნებ ვენახების და ღვინოების ავად-მყოფობას.

მ. შალამბერიძე.  
(შემდეგი იქნება)



**თანამდებობის დატოვება.** ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა ს. ქვარიანი გამგეობაში განცხადება შეიტანა, თანამდებობას თავს ვანებებო. ქალაქის თვითმართელობამ დაადგინა, ყავლის გასვლამდე, ე. ი. 9 თვის განმავლობაში, ისევ ეძლიოს ბ-ნს ქვარიანს ჯამაგირი მუყაითად ნაშახურობისათვის.

**კრება.** სამშაბათს, 16 ივნისს, უნდა შესდგეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება. განახილველი და დასამტკიცებელია მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა, ახალი წევრების მიღება და სარევიზიო კომისიის მესამე წევრის არჩევა და სხ. ამ კრებას წარედგინება განსახილველად მ. ნ. ავღუევის მოხსენება კოპოპერაციის შესახებ.

**ახალი ლომბარდი.** ლომბარდის გამგის ბ-ნ კაფიევის წინადადებით, ქალაქის გამგეობამ პროექტი შეადგინა იმის შესახებ, რომ ავღუაბარში გაიხსნას საქალაქო ლომბარდის განყოფილება, რომლის საწარმოებლად ამ თავითვე საქირო არის ასი ათასი მანეთი.

**საანკეტო ფურცლები.** კავკასიის ქალაქთა კავშირის ბიუროს თავმჯდომარემ, ა. ი. ხატისოვმა, ლაზარეთების გამგეთაგან საანკეტო ფურცლები მიიღო, რომლებშიც აღნიშნულია რაოდენობა ავადმყოფობისა და ავადმყოფთა.

**ბავშვების სათამაშო მოედანი.** მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას სთხოვა დაუთმოს მას ალექსანდრეს ბაღში ადგილი ბავშვებისათვის სათამაშო მოედნის მოსაწყობად.

**წარმოდგენა.** ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოწაფეთ გამართეს სკოლის დარბაზში ქართული წარმოდგენა, მოიწვიეს თავიანთ ნათესავ-მეგობარნი და შემოსავლიდან ხარჯს გარდა დარჩენილი ორი თუმანი გადასდეს ჩვენის გაქირავებული მოძმე აპარტებისათვის. გაახლებთ რა ამ ორ თუმანს, უმოჩინოვსად გთხოვთ გადასცეთ დანიშნულ ბისამებრ.

**რედაქციამ მიიღო ბ-ნ ვინარმანიძესაგან შეგროვილი საბურთალოს სკენის მოყვარეთა და გამგეობის ნაღიშე 6 მანეთი ქართულ თეატრის ფონდისთვის და ფული დანიშნულებისამებრ გარდაცა.**

**ქართლი.** **ბავშვის დაწვა.** ს. ზემო-არცვეში გლეხს ქიტა ციციშვილს დაწვა სამი წლის ლამაზი, მშვენივრად მოტირინე გოგონა.

**ლორის ჭირი.** აგერ მეორე თვეა რა ქ. გორიდან ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში ს. ზემო არცვემდე მჭინავარებს ლორის ჭირი და მუსრს ავლებს.

ლორებთან ერთად იხოცებიან ძალღებიც. რადგანაც დაუდევარი მცხოვრებნი ჭირიან ლორებს არა მარხვენ და საძალღედ იქვე სოფლის ახლოს ჰყრიან, თუ პოლიციამ არ მიიღო ზომები, რათა ჭირიანი ღორები იმარხოვდეს, მაშინ დანარჩენ სოფლებსაც საფრთხე მოეღოს.

**ღვინის სიძვირე.** ს. მეჯვრისხევენი და მის ახლო-მახლო სოფლებში კოკა (12 თუნგი) ღვინო 25—30 მანეთად ფასობს.

**მოსავალი.** როგორც გვატყობინებენ ტირიფონას ხეობაში ჭირნახულს კარგი პირი უქანს.

**ხილი.** აპრილის თვეში გამოწვეულმა სიცივე—როვილმა ორთავლიანებს ხეობაში ატამი, ბალი, ალუბალი და სხვა ხილი დააზრო.

**წყალდიდობა.** ამ თვეში განუწყვეტელმა ადრემ და ძლიერ ადიდა პატარა ლიანები. იგი კალაპოტში ველარ დაიტია. გაგლიჯა ხიდის ყური, ხიდი ჩამოაშორა გზას. მის შესაკეთებლად ზომები მიიღო მეჯვრისხევის ბოქაულმა და შეაკეთა.

**ახალი წიგნაკი**

თბილისის ქართველ სტუდენტთა საზოგადოებამ კიდევ ერთი ახალი წიგნაკი მოგვიტანა: „სამაჰმადიანო საქართველო“. დღეს ქართველი საზოგადოების გუ-

ლისურნი გამახვილებული დაეძებს ყველაფერს, რაც სინათლესა ჰფენს ქართველ მაჰმადიანთა წარსულს და აწმყოს. ამ მხრივ ეს ლამაზად შეკრული წიგნაკი სწორედ თავის დროზედ გამოდის. იგი კრებულია სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა პირისაგან დაბეჭდილი წერილებისა. წიგნაკს ფასს ის გარემოება მატებს, რომ მასში ჩართულია ქართველი ერის დიდი მოამბის, ილია ჭავჭავაძის წერილი. 1877 წლის „ივერიიდან“ ეცნობით, თუ რას ფიქრობდა დიდი ქართველი ამ 37 წლის წინა დროით შესახებ, ვისი ბედით დღეს მთელი საქართველო დაინტერესებულია. სტუდენტთა საზოგადოება სხვა ახალ გამოცემებს გვპირდება „სამაჰმადიანო საქართველოს“ შესახებ.

მადლობის ღირსნი არიან ჩვენი ახალგაზდა თანამემამულენი, რომ ასეთის აღლოთი მისდევენ ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებას.

— კი.

**პალეზიის პონაპეანსია**

8 ივნისს პეტროგრადში სათათბიროს წევრების კრება მოხდა. წევრები კადეტთა ფრაქციას ეკუთვნიან. კრებას დაესწრნენ პროვინციებიდან კადეტთა პარტიის წარმომადგენლები. თავმჯდომარეობდა მილიუკოვი. კონფერენციამ განიხილა სხვა და სხვა დროული საკითხები, რომელნიც ომისგან იქნა წამოყენებული. პროვინციიდან ჩამოსულებმა გააცნეს ვითარება დღევანდელ მდგომარეობისა. გალიციის და ვისლის მხარის დებუტატებმა განუმარტეს საქმის ნამდვილი გარემოება. გასარჩევი პროგრამა მეტად რთული გამოდგა. ილაპარაკეს სანოვაციის გაძვირების გამო და დაასკვნეს, რომ საქიროა დაარსდეს ძლიერი ორგანო, რომელიც წესიერებაში მოიყვანს სანოვაციის და საკვების საკითხს. ამ ორგანოში მონაწილეობა უნდა მიიღონ ერობის წარმომადგენლებმა, ქალაქთა კავშირმა, კოპერატივებმა და სხვებმა. ვაცხარეზული კამათი გამოიწვია აგრონომიულმა საკითხმა, რის შემდეგაც შემდეგი რეზოლუციის გამოიტანეს: ვინაიდან ომის გათავებისას აგრონომიული საკითხი პირველ ადგილს დაიჭერს და მისი მოწესრიგება აუცილებლად საქირო იქნება, ამ საკითხის განხილვა გარდაეცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც საადგილმამულო რეფორმა უნდა შეიმუშავოსო.

ეროვნულ საკითხის გამო კრება ებრაელების მდგომარეობას შეეხო და დაასკვნა: არა მარტო იმ ხალხთა შორის ძიობა—ერთობისთვის, რომელნიც სახელმწიფოს ერთს პერქვევ ცხოვრობენ, არა მარტო მისთვის, რომ ჩვენ ებრაელებს იმედი მივსცეთ საუკეთესო მომავლისა, არამედ მათი საკითხის კეთილად გარდაწყვეტას თვით სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვსო. ილაპარაკეს უკრაინელებზეც და მიიღეს პროგრამა ფართო კულტურულ თვითგამორკვევისა. „რ. ვ.“

**ჩვენი სმოკრება**

სოფელი განსაცდელშია.

ვინ არ უწყის, თუ რა მდგომარეობაშია წელს მრავალი კუთხე საქართველოში, უმეტესად გურია-სამეგრელოში. ვისაც გადაუკითხავს ვაჭრების ფურცლებზე არა ერთხელ აღნიშნული სოფლის მდგომარეობა, ის ადვილად გაიგებდა მის ვითარებას. ხოლო ვისაც უმოგზაურია ამ რამოდენიმე ხნის წინა დროს საქართველოში, ის უთუოდ იგრძნობდა სოფლის აუტანელ მდგომარეობას.

თვითონ მე ამ ერთი თვის წინეთ ვიყავი სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში. ყველაზე ერთი და იგივე სურათს ხედავთ: დარბეული ოჯახი, გაცივებული კერა, უპატრონობისაგან დაუშვებელი ყანები და ვინ იცის რამდენი რამ აკლია

იმ ოჯახსაც კი, რომელიც დოვლათობით ნაქები იყო... ყველაზე სიმშვილდად მოგვიტანებენ, ხშირად ვესმის ბავშვების ხრინწინი ხმა „შვიდი დედა... ბევრი სიმშვილისაგან დაიხოცა კიდევ. მთელ სოფელს შავი საბელოვარო ზეწარი გადაჰფარებია: ყველაზე ტრილი, ყველაზე ცრემლები, გოდება... ზოგი, ომში მოკლულ ქმარს სტრისი, ზოგი შვილს, ზოგი ძმას, ზოგი კიდევ სახლში დარჩენილ ობლებს, რომელნიც დღეს თუ ხვალ დაუნდობელი სიმშვილის მსხვერპლი გახდებიან...“

არც მომავალი წლისთვის უქანს მოსავალს კარგი პირი, დაუნდობელმა სტიქიონმა სრულიად გაანადგურა, დამუშავებული ყანები, ვენახები და მრავალი სხვა ზარალიც მიყენა. ასეთ შემთხვევაში რით ინუგეზოს თავი მომავალი წლის შემსურე გლეხსაცმა, აწმყოსაგან დანაგრულები...ნუ თუ ასე გულ-ხელდაკრფილი უსუროს სანამ სიკვდილი მას არ იმხვერპლებს...“

აი, ასეთია სურათი სოფლის დღევანდელი მდგომარეობისა. ვისაც ოდნავ მაინც გული სტკივა, ვისაც ოდნავ მაინც პატრიოტული გრძობა უღვივის გულში, მიეშველოს დარბეულ მოძმეს...“

სოფელი შევლას თხოულობს, და თუ დროზე არ ვუპატრონეთ. გვიანლა იქნება ჩივილი და წუწუნები.

ძიკი გვაგაქორი.

**ღვინით ვაჭრობა**

თბილისის გუბერნატორისაგან.

ვაუწყებთ ამით ისას იმ პირთა, ვისაც ნება აქვთ დართული, თანახმად ჩემ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებისა მარტის მე-17 დღეს 62 №-ით, ივაჭრონ ღვინით თბილისის გუბერნიის მაზრებში.

**ახალქალაქის მაზრაში**

შიგ ახალქალაქში: ლეონ გრიგ. ჩახლა-მხსენევი. სპირიდონ გასპარის ძე აივაზოვი, ზაქ. დავით. მოსესოვი, პაპიკ ოლა-ნეს. ალთუნაინცი, არუთინ სალათელ. გუქასიანიცი, ოლანეს სპირიდონ. მოსესოვი, ვახარო ოლანეს კახრაბანიცი.

**ახალციხის მაზრაში**

შიგ ახალციხეში: ალექსანდრე ჯამ-ჯგვი, ოლანეს გოგორკოვი, ბულდურო-ვი; აბასთუმანში (ობრხე): სტეფანე სიმონისძე ანისონოვი, შანშიევი, აკობ ოლანეს. ქეშიშიევი, ათანეს კევიორკოვი.

**გორის მაზრაში.**

შიგ გორში: გრიგოლ ალექს. ყორჩა-შვილი, ქრისტეფორე ზაქარ. ეგნატა-შვილი, ზაქარია მიხეილ. მამულაოვი, გრიგოლ ზურაბ. ვარსიმოვი, ნიკოლოზ გიორგ. კლაცმანს, გიორგი მათეს ძე არშა-კუნთ, არტემი გრიგ. ვალუსტოვი; ბორ-ჯომში: მელქო აღალ. აკოფოვი, ბლად-სარ ბლადასარის ძე ანიბეგჩიევი; სურამში: მიხეილ ალექსანდრეს ძე არუწოვი, გუ-დღენე ზაქარიაძის ძე მათიაშვილი; ხაშურ-ში: გრიგოლ იაკობის ძე გრძელოშვილი, სვიმონ პავლეს ძე დედარიანი.

**დუშეთის მაზრა.**

შიგ დუშეთში: გრიგორ მირაქოვი, ნიკოლოზ ბიძინას ძე ქარალაშვილი, ამ-ბაკო გიორგის ძე მელაძე, ბაგრატ ალექ-სანდრეს ძე, ბარათოვი, ივანე იავორის ძე კლიკოვი, ალექსა ბესარიონის ძე ხო-ლუსაური, მიხეილ იოსების ძე ბარათო-ვი; ფსანაურში—გრიგოლ სოლომონის ძე კოჩაიძე; ანანურში—მიხეილ ავეტი-ქას ძე ანდრიევი.

**სიღნაღის მაზრაში.**

შიგ სიღნაღში: ნიკოლოზ სვიმონის ძე არუთინოვი, იავორ ყარაშინის ძე აკო-ფოვი, სერგო ივანეს ძე სარქისოვი, ივანე ალექსანდრეს ძე ზურიევი; ლავოდახ-ში: ვარდო ფარსადანოვი, მედიტონ ქი-მუნაძე; დედოფლის წყაროში (თუქურმი-შა): არტემ არტემის ძე ოთაროვი, ზაქარია ნანობაშვილი.

**თბილისის მაზრაში.**

კოლონია ფრიდენტალში—საქულ ვარსკლოვი, ბელი-კოლუჩნი—ბეგლარ ბაირამოვი, გიორგი ბაირამოვი; მანგლი-სში: ვასილ დიდუბრაძე, ვასილ დიდ-ზურაბოვი და გიორგი ნემსძე; კოჯორ-ში: გიორგი ჩაიანლოოვი, ელიშე ქიშ-მიშოვი; კოლონია ალექსანდრესდორფში—გიორგი ურუმბეგოვი, საბურთალოზედ—დავით ბურდული; საქართველოს სამ-ხედრო გზაზედ—სერგო გოზალოვი და გიკო არუთინოვი.

**თელავის მაზრაში.**

შიგ თელავში: ალექსანდრე მოსხებს ძე ნაოკოვი, მარკოზა თედორეს ძე კეპ-

ლიევი, იოსებ ქიტეას ძე მარკოზაშვი-ლი, გრიგოლ ივანეს ძე ფიფინოვი, აბ-რამა ზაქარიაძის ძე საენიოვი, დავით ივან-ნეს ძე ალხაზოვი, რევაზ მიხეილის ძე რუსიშვილი, სვიმონ ალექსანდრეს ძე მალრადე, პეტრე (თუშუკ) არუთინას ძე არუთინოვი, ბაგრატ ნიკოლოზის ძე სე-კარდნავიძე, ამხანაგობა „შიდა კახეთი“; მიხეილ, ალექსანდრე და ივანე კული-ჯანის ძენი ტერ-გრიგოროვები, ვანე იულიანის ძე ყულიჯანოვი, ალექსან-დრე ლაზარეს ძე ნაიბოვი, იავორა გას-პარის ძე იავორაშვილი.

ხელი მოაწერა: თბილისის გუბერნატორი სტრაზოვსკი. დაამოწმა: კანცე-ლარიის გამგის მაგიერ დუბანოვი.

**რედაქტორ-გამომცემელი**

სანდრო შანშიაშვილი

**მაზანდა თბილისის მაზრაში**

გაიყიდა:	9 თიბათვეს
ტყემალი	2 მ.
კიტრი 100 ც.	7 მ.
ბალი	4 მ.
ვაშლი	4 მ.
ხენდრო	8 მ.

**10 თიბათვეს**

ალუბალი	4 მ.
ტყემალი	2 მ.
ატამი	4 მ.
მსხალი	1—80 კ.

**11 თიბათვეს**

ტყემალი	2 მ.
ატამი	5 მ.
ხენდრო	8 მ.
კიტრი	9 მ.

**კახეთის რეინის გზის მიმოსვლა**

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხ-შაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნ-დება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთულ-ამიერ-კავ.	8 „ 40 „ „
ნავთულ-კახეთ	8 „ 58 „ „

ვაზიანიდან	10 „ 06 „ „
ივრიდან	21 „ 15 „ „
საგარეჯოდან	58 „ „ „
ბაღდათიდან	12 „ 56 „ „
მელაანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 „ 37 „ „
კარდნავიდან	4 „ 12 „ „
წნორის-წყალზე	4 „ 44 „ „

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვანახიანიდან	4 „ 38 „ „
თელავში	5 „ 27 „ „

**თბილისისკენ მიდის:**

წნორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდნავიდან	9 „ 41 „ „
გურჯაანიდან	10 „ 24 „ „
მელაანიდან	11 „ 39 „ „
ბაღდათიდან	12 „ 59 „ დღ.
საგარეჯოდან	2 „ 80 „ „
ივრიდან	2 „ 50 „ „

**ნავთულ-კახეთი.**

ნავთულ-ამიერ-კავ.	5 „ 13 „ „
თბილისში	5 „ 28 „ „

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

თელავიდან	8 ს. 54 წ. დილ.
ვანახიანიდან	9 „ 25 „ „
გურჯაანში	10 „ 07 „ „

**ამიერ-კავკასიის რეინის გზის მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენები თბილისის საათით)

**თბილისში მიდის:**

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

**თბილისიდან გადის:**

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 28 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი ავთიაკი**

პროვიზორის ახვლედიანისა. 25—15

**წიგნის მაღაზია „ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РЪЧЬ“).**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—28.  
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვცისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას; საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.  
განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვცისრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენზე მივიტანოთ (წ.—14)

**ქეხილეთა ამხანაგობა „მ ა რ თ ლ ი“**

„ქართლის“ კოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთა შეუძლიან შეიძი-ნონ ყოველნაირი ხილი იაფად.

**თეზის მრავალნი**

**მ. მ. კეგელიძე**  
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაზარში**  
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „მ. მაილოვის-შვიტი“, სამრე-წველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარლიანი, შავი „მეშინი“ ხიზალადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთისა და სახლგარეგარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ს ა მ შ ო ბ ლ ო“**

(გამოდის ქუთაისში)  
ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით  
**გ ა ზ ე თ ი დ ი რ ს:**  
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებითი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამ-შობლო“. ესთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვა-წოდონ მათი სურათები.  
რედაქტორი ი. ცინცაძე.